31 აგვისტო 1930 წ. № 16 (40) წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



ჭიათურის მაღაროს მბურღავი მუშა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16.
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.

დ-76
145



პერევისის მაღაროს დამკვრელი მუშები.

# რევოლიუციონური პროფმოძრაობის დროშებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაპიტალიზმის დასამხობად

### (პროფინტერნის მე-5 კონგრესის გამო)

მთელი მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის ალშია გახვეული: კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოდიან ეკონომიურად მოწინავე ქვეყნების მუშები და კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშები. იბრძვიან რურის მემაღაროები და მანსფელდის მელითონეები, ჩრდილოეთ საფრანგეთის მელითონეები და ფეიქრები, ინგლისის სამთომადნო მუშები, მეზღვაურები და ფეიქრები, საბერძნეთის მეთამბაქოები, პოლონელი ფეიქრები და სამთამადნო მუშები, მექსიკის ვერცხლის საწარმოების მუშები, ბომბეის ფეიქრები, იაპონელების აბრეშუმის ფაბრიკის მუშები ჩინეთში და სხვ. იბრძვიან ყველგან, სადაც კი კაპიტალი სჩაგრავს და ყვლეფს მუშათა კლასს, ათეული მილიონი პროლეტარები იბრძვიან კაპიტალისტური რაციონალიზაციის, ეკონომიური კრიზისი სიმძიმის მუშათა კლასის მხრებზე გადატანის წინააღმდეგ, იბრძვიან მთლიანად კაპიტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მსგავსად დაიპყრან ძალაუფლება და შეუდგენ სოციალიზმის მშენებლობას.

კაპიტალიზმის შედარებითი სტაბილიზაცია დასჭკნა ისე, რომ აყვავებაც ვერ მოასწრო. მისი ადგილი დაიკავა მძაფრმა სამრეწველო- ფინანსიურმა კრიზისმა, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში გადახლართულია მწვავე აგრარულ კრიზისთან და პოლიტიკური კრიზისის ხასიათს იღებს. მსოფლიო ბაზრებზე თავის კონკურენტულ შესაძლებლობათა შესანარჩუნებლად, ბურჟუაზია ატარებს უმკაცრეს კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, ადიდებს სამუშაო დღეს, ამცირებს შრომის ხელფასს, ჰკვეცავს ან სრულიად სპობს იმ ისედაც მცირე სოციალურ კანონმდებლობას (დაზღვევა უმუშევრობის შემთხვევაში, დახმარება ავადმყოფობის დროს და სხვ.), რომელიც აქა-იქ არსებობს კაპიტალისტურ ქვეყნებში. კაპიტალის ამ შემოტევის შედეგად შეუჩერებლად და სისტემატიურად იზრდება უმუშევართა არმიები (6 მილიონზე მეტი უმუშევარი შეერთ. შტატებში, 3 ნახ. მილიონი უმუშევარი გერმანიაში, 2 ნახ. მილიონამდე უმუშევარი ინგლისში და სხვ.). შინაური ბაზრის შესანარჩუნებლად და დასაცავად უცხოეთის სახელმწიფოების ექსპორტისაგან, ყოველი ქვეყნის ბურჟუაზია სცდილობს თავის საზღვრებზე აღმართოს მფარველობითი ბაჟების კედელი, რაც საშუალებას აძლევს მას მაღალი ფასები დააწესოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. იზრდება გადასახადები, რომელსაც ნთქავს გაფთრებული ჰეტოქეობა შეიარაღებაში და რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ისევ მშრომელ მასებს. ყოველივე ამის შედეგად ულაზღვროდ ეცემა მუშათა კლასის საარსებო დონე, იზრდება სიმშილი და უბინობა.

მაგრამ ამასთან ერთად ეს გარემოება თან დათანობით აძლიერებს მუშათა კლასში იმის შეგნებას, რომ საარსებო პირობების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ შეუნელებელი კლასობრივი ბრძოლით. **პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის შეგნებაში და პრაქტიკაში კი ბრძოლა თავისი ეკონომიური** და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში მჭიდროთ უკავშირდება ბრძოლას მუშათა კლასის საბოლოო მიზნებისათვის—კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

საერთაშორისო მუშათა კლასში ამ შეგნების ზრდას ხელს უწყობს და აძლიერებს მაგალითი საბჭოთა კავშირის, რომელიც ერთად-ერთი ქვეყანაა დედამიწაზე, სადაც ზღაპრული ტემპით ვითარდება მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა, სადაც შენდება ინდუსტრიის გიგანტები, სადაც სრულიად ისპობა უმუშევრობა, სადაც შეუჩერებლად და სისტემატიურად უმჯობესდება მშრომელთა კეთილდღეობა. საბჭოთა კავშირის პროლეტარების ეს მაგალითი სიცხადით უმტკიცებს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს, რომ გამოსავალი სიღატაკიდან და სიმშილობიდან არის ძლევამოსილი აჯანყება ექსპლოატატორული კაპიტალისტური რეჟიმის დასამხობათ.

და მუშათა კლასიც კაპიტალის შემოტევაზე უპასუხებს კონტრ-შეტევით. უკანასკნელი წლების და თვეების ბუმბერაზული კლასობრივი ბრძოლები არა მარტო მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ კოლონიებშიაც და ნახევრად კოლონიებშიც (ჩინეთი, ინდოეთი, აფრიკა), ნათლად მოწმობს, რომ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომ რევოლიუციონური განწყობილებების ზრდა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

რომ ჩაახშოს მუშათა კლასის მებრძოლი განწყობილება ბურჟუაზია ახდენს ფაშიზმის მობილიზაციას. რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის წინააღმდეგ მიმართულია უმაგალითო პოლიციური რეპრესიები, დაწყებული გაფიცვების მეთაურთა მასიური დაპატიმრებით და გათავებული გაფიცვების სრულიად „აკრძალვით“ და გაფიცულთა ხოცვა-ჟლეტით. ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ძლიერად გაშლილ საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ მოდის რეფორმისტული პროფბიუროკრატია. რეფორმისტულმა ბელადებმა დიდი ხანია გაფიცვები, როგორც კლასობრივი ბრძოლის საშუალება, არქივს ჩააბარეს. ისინი შეეზარდნენ კაპიტალისტურ წყობილებას და საკმაოდ ჭკვიანი არიან იმისათვის, რომ გაფიცვებისათვის მხარის დაჭერით არ მოსჭრან ის ტოტი, რომელზედაც სხედან—ძირი არ გამოუთხარონ კაპიტალისტურ წყობილებას, რომელიც ფუფუნებით ცხოვრების საშუალებას აძლევს მათ. არსებითად რეფორმისტულ პროფბიუროკრატიას უჭერენ მხარს და კაპიტალიზმის წისქვილზე ასხამენ წყალს მემარჯვენე ოპორტუნისტები და „მემარცხენე“ სექტანტები. პირველნი ქვევიდან ერთიანი ფრონტის შექმნის ნაცვლად ქმნიან ერთიან ფრონტს რეფორმისტულ პროფბიუროკრატებთან, მეორენი კი თხზავენ „ბრძნულ“ თეორიებს იმის შესახებ, რომ საგაფიცვო მოძრაობა დაუშვებელია კრიზისების ხანაში, რომ ეს მოძრაობა განწირულია დასამარცხებლად, რადგან აქ გაფიცვების მოწინავე რიგებში შეუკვეთებელი მუშები გამოდიანო და სხვ.

ამრიგად საერთაშორისო მუშათა კლასს ბრძოლაში თავისი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, **ბრძოლაში საგაფიცვო მოძრაობის** შემდგომი გაშლისათვის, უხდება დაძლევა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ფაშისტურ ბანდების და პოლიციის ტერორის, რეფორმისტ-ბიუროკრატების მოღალატეობის და მემარჯვენე და „მემარცხენე“ რენეგატების წინააღმდეგობის. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივი შეგნების და დარაზმულობის ზრდამ უდიდეს წარმატებას მიაღწია. რევოლიუციონური პროფკავშირები იზრდება რიცხვობრივად და ამასთან ერთად იზრდება მისი გავლენა ჯერ კიდევ რეფორმისტულ პროფკავშირებში დარჩენილ მუშებზეც. მუშათა მასები შორდებიან რეფორმისტებს (1921 წ. დიდი გაფიცვის შემდეგ მარტო ინგლისის რეფორმისტულ პროფკავშირებიდან 3 მილიონზე მეტი მუშა გავიდა).

მაგრამ წითელი პროფკავშირების ზემოაღნიშნული მიღწევები კიდევ არ ნიშნავს იმას რომ ბრძოლა მუშათა კლასის უმრავლესობისათვის უკვე დამთავრებულია და რევოლიუციონურ პროფმოძრაობას არ აქვს ნაკლოვანებები რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკაში და სტრატეგიაში. ბრძოლა მუშათა კლასის უმრავლესობისათვის გრძელდება, უმრავლესობის დაპყრობა გაადვილებას აღმოფხვრას ის ნაკლოვანებები, რომლებიც რევოლიუციონური პროფკავშირების მუშაობას ახასიათებს და ბრძოლის გაძლიერება მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებთან, რომლებიც ხელს უშლიან საგაფიცვო მოძრაობის გაშლას.

ამ ამოცანებს იხილავდა პროფინტერნის მე–5 კონგრესი, რომელიც 15 აგვისტოს გაიხსნა მოსკოვში. ამ კონგრესმა, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები ყველა ქვეყნების და ყველა ხალხების მუშათა კლასის, ნათელჰყო, რომ იმ დროს, როცა ამსტერდამი წარმოადგენს მხოლოდ ევროპის პროფბიუროკრატების გაერთიანებას, შტაბს კაპიტალიზმის გადასარჩენად, პროფინტერნი ხდება მსოფლიო რევოლიუციონური პროფმოძრაობის ნამდვილი ცენტრი. დელეგატების უმრავლესობას ამ კონგრესზე შეადგენდნენ ლაზგის მუშები. მათი გამოსვლა კამათში პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს, გენერალური მდივანის ამხ. **ლოზოვსკის** მოხსენების გარშემო, წარმოადგენდა მთელს მსოფლიოში გაშლილი მძაფრი კლასობრივი ბრძოლების ნათელ ილიუსტრაციას.

კონგრესმა ზედმიწევნით და ყოველმხრივ განიხილა და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რევოლიუციონური პროფკავშირების საგაფიცვო ბრძოლის ტაქტიკა და სტრატეგია, მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობის და ერთიანი ფრონტის შექმნის მეთოდები. კონგრესმა დასახა გზები რევოლიუციონური კლასობრივი ბრძოლის ისეთნაირად გასაშლელად მომავალში, რომ კაპიტალისტური ქვეყნების და კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების პროლეტარიატის მჭიდროთ დარაზმვით უზრუნველყოფილ იქნას გამარჯვება კაპიტალიზმზე და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება მთელს მსოფლიოში.

ა. ჭ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი საბჭოთა ექსპედიცია არქტიკაში



მზადება ექსპედიციის გასამგზავრებლად.

„კრასინ"-ის და „მალიგინ"-ის გმირული მოგზაურობისა და ყინულის მჭრელ „სედოვ"-ის შარშანდელ ბრწყინვალე ექსპედიციის შემდეგ საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა არქტიკულმა კომისიამ გადასწყვიტა მოეწყო ახალი საბჭოთა ექსპედიცია ჩრდილოეთის ყინულიან ოკეანეს კუნძულების, კერძოდ ფრანც-იოსების მიწის და ე. წ. ჩრდილოეთის მიწის შესასწავლად.

15 ივლისს ყინულისმჭრელი „სედოვი" პოლიარულ ზღვების გამოცდილ კაპიტანის ვორონინის ხელმძღვანელობით არხანგელსკიდან გავიდა ფრანც - იოსების მიწისაკენ. ექსპედიციას ხელმძღვანელობს ფრანც-იოსების მიწის და ჩრდილოეთ მიწის კომისარი პროფ. ო. ი. შმიდტი. ექსპედიციის შემადგენლობაში შედის მრავალი გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი. მათ შორის პროფ. რ. სამოილოვიჩი, პროფ. ვიზე და სხვები.

ექსპედიცია მიზნად ისახავს პოლიარულ ზღვის და ციმბირიდან ჩრდილოეთით მდებარე კუნძულების გამოკვლევას, ამ მხრივ ყინულიანი ოკეანე ძალიან ნაკლებად არის შესწავლილი. მართალია, წინეთაც იყო ასეთი გამოკვლევის წარმოების ცდები, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი ნაყოფი არ გამოუღიათ. ასე მაგალითად, 1895 წელს ეს ადგილები გაიარა ყინულებში ჩაჭედილმა ნანსენის გემმა „ფრამ"-მა, 1912-13 წლებში ამ ადგილებში ყინულებში ჩაჭედილი იყო გემი „წმინდა ანნა", რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი მკვლევარი ბრუსილოვი. ეს გემი ყინულებმა მიიტანეს ფრანც - იოსების მიწამდე და იქ დაიღუპა. გემის კომანდის ნაწილმა 14 კაცის შემადგენლობით, შტურმან ალბანოვის მეთაურობით, სცადა ფეხით მიეღწია ხმელეთამდე, მაგრამ 14 კაციდან მხოლოდ ორმა შესძლო ეს. 1914 წელში ყინულისმჭრელები „ტაიმირი" და „ვაიგაჩი" ვილკიცკის ხელმძღვანელობით, რომლებმაც დიდის სიძნელით გაიარეს ციმბირის ჩრდილოეთი ნაპირები ვლადივოსტოკიდან არხანგელსკამდე, ციმბირიდან ჩრდილოეთით დაეჯახენ რაღაც დიდ კუნძულს, რომლის არსებობაც არავინ იცოდა. კუნძულის გამოკვლევა მათ ვერ მოასწრეს. მათ რუქაზე აღნიშნულია ამ კუნძულის სამხრეთ - აღმოსავლეთის ნაპირის ნაწილი, ხოლო საით მიდის ეს კუნძული: დასავლეთით თუ ჩრდილოეთით — დღემდე არავინ იცის. მათ მიერ აღმოჩენილ კუნძულს მათ უწოდეს ნიკოლოზ II სახელი, მაგრამ რევოლიუციამ შეუცვალა მას სახელწოდება და დაარქვა ჩრდილოეთის მიწა, სწორედ ამ ჩრდილოეთის მიწისაკენ მიდის ახალი საბჭოთა ექსპედიცია.

„სედოვი" არხანგელსკიდან პირდაპირ ფრანც-იოსების მიწისაკენ გაემართა. ყინულისმჭრელმა გამოცდილი მეზღვაურის ხელმძღვანელობით შედარებით ადვილად სძლია ჩრდილოეთის ყინულები და 22 ივლისს უკვე „სედოვი" ფრანც - იოსების მიწის ყურეში იყო. ფრანც - იოსების მიწაზე შარშანდელი ექსპედიციის მიერ დატოვებული იყო 7 საბჭ. მოქალაქე, რომლებმაც იქ მოაწყვეს მეტეოროლოგიური რადიო-სადგური და შეისწავლეს კუნძული. „სედოვ"-მა აიყვანა თავის ბაქანზე ეს შვიდი თავდადებული საბჭოთა სამეცნიერო მუშაკი და მათ მაგივრად დასტოვა 11 ახალი მეცნიერი, რომლებიც იქ გაატარებენ მძიმე პოლიარულ ზამთარს და გაზაფხულზე განაგრძობენ კუნძულის შესწავლას. სხვათა შორის, ფრანც-იოსების მიწაზე პოლიარული ღამის გასათევად და სამეცნიერო მუშაობის საწარმოებლად დარჩა ახალგაზრდა მეცნიერი ქალი, კომკავშირელი ამხ. დემმე. „სედოვ"-მა მათ დაუტოვა მთელი წლის მარაგი სურსათი, იარაღი მხეცების მოსაგერიებლად, თბილი ტანისაცმელი და 3 აგვისტოს დასტოვა კუნძული. ყინულისმჭრელმა კურსი აიღო აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთ მიწისაკენ და მტკიცედ გადასწყვიტა უეჭველად მიაღწიოს ამ უცნობ კუნძულს. გემს თან მიაქვს 15 თვის სურსათი და თბილი ტანისაცმლის დიდი რაოდენობა იმ შემთხვევისათვის, თუ ზამთარი ადრე დაიწყო და ყინულისმჭრელმა ვეღარ მოასწრო უკან დაბრუნება.

საბჭოთა ქვეყანა შობს გმირებს: ახალგაზრდა მეცნიერმა გ. უშაკოვმა, რომელიც უმძიმეს პირობებში სამი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კოლონიას ვრანგელის კუნძულზე, განაცხადა სურვილი დარჩეს ჩრდილოეთ მიწაზე. მასთან ერთად დარჩებიან ცნობილი გეოლოგი - ინჟინერი ურვანცევი, რადისტი და ერთი მონადირე. ეს ოთხი კაცი იქნება პირველი ადამიანები მსოფლიოში, რომლებიც ფეხს შედგამენ ჩრდილოეთ მიწაზე. ექსპედიცია მათ დაუტოვებს საჭირო სურსათს, თოფებს, ვაზნებს და საშენებელ მასალას, რომლიდანაც უნდა ააშენონ პატარა ქოხი და მოკლე ტალღიანი რადიო - სადგური. ისინი იქ გაატარებენ ზამთარს და გაზაფხულზე, მზის პირველ გამოჩენისთანავე მარხილებით, რომლებშიაც შებმული იქნება ძაღლები, შემოივლიან კუნძულს, შეისწავლიან მას და აღნიშნავენ რუქაზე.

რა მნიშვნელობა აქვს არქტიკის შესწავლას და, კერძოდ აღნიშნულ ექსპედიციას?

უპირველეს ყოვლის ის, რომ ჩრდილოეთ ნაპირებზე რადიო - სადგურების ქსელის გაფართოვებით ჩვენ საშუალება მოგვეცემა მუდმივი მეთვალყურეობა ვიქონიოთ ამინდზე. იმის გარეშე კი, თუ ჩვენ არ ვიცით ამინდის მდგომარეობა ჩრდილოეთში, ყველა ჩვენი წინასწარმეტყველება ამინდისა და მოსავლის წინასწარ გათვალისწინება არ იქნება სწორი. შემდეგ, ჩრდილოეთ სადგურების მუდმივი მეთვალყურეობა ყინულების მოძრაობაზე საშუალებას მისცემს ჩრდილოეთის საზღვაო ნაოსნობას, კერძოდ კარსის ექსპედიციას, რომელსაც ყოველწლიურად უცხოეთის მრავალი გემი გაჰყავს ყინულებში მდ. ობის და ენისეის სათავისაკენ, მრავალი მილიონი მანეთი დაზოგოს. იმის შემდეგ, როდესაც ჩრდილოეთ მიწაზე მოწყობილი იქნება მეტეოროლოგიური და რადიო სადგური, უკვე დანამდვილებით შეიძლება ლაპარაკი უცხოეთის გემების შემდგომი ექსპედიციების შესახებ მდ. ლენის სათავისაკენ. ჩრდილოეთ კუნძულების შესწავლა საჭიროა აგრეთვე იმიტომ, რომ იქ შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა მადანი. დასასრულ, რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ევროპისა, იაპონიისა და ამერიკას შორის ვერ განხორციელდება, თუ არ იქნა შესწავლილი ჩრდილოეთის კუნძულები და თუ არ მოეწყო იქ მეტეოროლოგიური და რადიო - სადგურები.

— : —

3 აგვისტოს, როგორც ზევით ვსთქვით, „სედოვ"-მა დასტოვა ფრანც - იოსების მიწა და გაემართა აღმოსავლეთისაკენ. 6 აგვისტოს ყინულისმჭრელმა მიაღწია ახალ მიწას. ვინაიდან ამინდი ხელსაყრელი იყო, ექსპედიციის წევრებმა განიზრახეს კუნძულის გამოკვლევა. ისინი დაიყვენ ჯგუფებად და წავიდნენ სხვადასხვა მიმართულებით

გეოლოგიურ ჯგუფში, რომელშიაც შედიოდნენ პროფესორ სამოილოვიჩი, პროფესორ ვიზე, გეოლოგი-ინჟენერი ურვანცევი და სხვები მონაწილეობას იღებდა აგრეთვე მწერალი სოკოლოვი - მიკიტოვი. ამ უკანასკნელმა კუნძულზე იპოვა პრობკის ბოთლი, რომელშიაც აღმოჩნდა ამერიკული პოლიარული ექსპედიციის წევრის ბოლდუინის წერილი. ეს ექსპედიცია ფრანც-იოსების მიწაზე იყო 1902 წელს. ამრიგად, წერილი 28 წლის განმავლობაში დასცურავდა ჩრდილოეთით ოკეანეში და ბოლოს მოხვდა ახალ მიწაზე, სადაც მას წააწყდა საბჭოთა ექსპედიციის წევრი სოკოლოვი - მიკიტოვი.

წერილში სწერია: „80 გრადუსი, 21 წუთი, ფრანც - იოსების მიწა: ბოლდუინი. ციგლერის პოლიარული ექსპედიცია. 1902 წლის 23 ივნისი. უახლოეს ამერიკულ საკონსულოს. სასწრაფოდ საჭიროა ნახშირის გამოგზავნა. გემი „ამერიკა“ 8 ივნისიდან დასცურავს ობერდარის ყურეში. წლევანდელი მუშაობა უფრო ნაყოფიერია. ფრანც - იოსების მიწაზე მარტი—აპრილი—მაისის განმავლობაში მარხილებით მიტანილია დიდი მარაგი. შეგროვილია კოლექცია ნაციონალური მუზეუმისათვის. გადავიღეთ მრავალი სურათი. დაგვრჩა ხუთი პონი (ცხენი) და 150 ძაღლი. გვესაჭიროება თივა, თევზი და (30 მარხილი). უნდა დავბრუნდე აგვისტოს დასაწყისში არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. ბოლდუინი“.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს წერილი 28 წელიწადი დადიოდა და მაინც ვერ მიაღწია მიზანს.

**ლ. მ.**

# ლ ი ბ ა ნ ი

ბორჯომიდან ლიბანამდე ორი საათის სავალია. ვიწროლიანდაგიან რკინის გზის მატარებელი, რომელსაც, თვალად პატარა, მაგრამ მძლავრი ორი ორთქლმავალი უბია, რამდენიმე პატარა, სათამაშოების მსგავს ვაგონს მიათრევს. მატარებელი სულ ზევით და ზევით მიდის და ბაკურიანში ზღვის ზედაპირიდან 1800 მეტრის სიმაღლეს აღწევს. ლიბანი 100—150 მეტრით დაბლაა.

ჩნდება ბაქანი ლიბანი. იქვე, სადგურის უკან ტყის შესავალში დიდი თაღია. თაღზე გაკრულია თუნუქის თეთრი პლაკატი.

შავ ადგილზე ოქროს ასოებით ქართულად და რუსულად სწერია „ლიბანის სანატორიუმი“. ლიბანში, ამიერ-კავკასიის რკინის გზების დამზღვევ სალაროს რკინის გზელთა სანატორიუმში, ამჟამად სამკურნალოდ არის ავადმყოფთა მეორე ჯგუფი— 185 კაცი. პირველმა ჯგუფმა სანატორიუმში თითქმის ორი თვე დაჰყო (მაისის პირველ რიცხვებიდან ივლისის პირველამდე). ის ავადმყოფები ეხლა უკვე სახლებში არიან წასულნი.

სანატორიუმს უფროს ექიმად კონკურსით მოწვეული ჰყავს სარატოველი ექიმი ტერაპევტი ლიუბომიროვი, მაგრამ ის დღემდე არ ჩამოსულა. უფროს ექიმის თანამდებობას სანატორიუმის ორდინატორი ექიმი ნოდია ასრულებს.

საგანგებოდ მოწვეულ აგრონომს აქ ბოსტნები გაუშენებია, ასე რომ ყოველნაირ საჭირო ბოსტნეულს სანატორიუმი საკუთარი ბოსტნებიდან იღებს. თითქმის სრული ორი თვის განმავლობაში ყოველ დღე სანატორიუმის ავადმყოფებს სუფრაზე მიერთმეოდათ ხოლმე სანატორიუმის ბოსტნებში მოყვანილი მარწყვი. მოსავალიც წელს დიდი იყო.

სანატორიუმს კონცერტების გასამართავად ლენინგრადიდან მოწვეული ჰყავს ტრიო, ლენინგრადის კონსერვატორიის უკანასკნელ კლასის მოწაფეები. ტრიო კონცერტებს კვირაში სამჯერ მართავს სანატორიუმის კლუბის დიდ დარბაზში. ამავე კლუბის სცენაზე ავადმყოფები თავიანთ საკუთარ ძალღონით მართავენ წარმოდგენებს რუსულად და ქართულად. კვირაში ორჯერ კინოც იმართება.

სანატორიუმში ცხოვრება და მკურნალობა ავადმყოფებისათვის დიდად სასარგებლოა. ავადმყოფების დიდი პროცენტი სავსებით ჯანსაღდება. ბევრ ავადმყოფს, სანატორიუმში ორი თვით ყოფნის შემდეგ, ფილტვებში უქრება ჭლექის იარები. უკეთესი იქნებოდა, თუ ავადმყოფებს საშუალება მიეცემათ, უფრო მეტ დროს დარჩნენ სანატორიუმში. ეს საკითხი—სანატორიუმში მეტი ხნით დარჩენის საკითხი—ადვილი გადასაწყვეტი არ არის. მომავალში, როცა უფრო გავმდიდრდებით, ეს უეჭველად მოხერხდება. ჯერ-ჯერობით კი სანატორიუმში ორი თვით ყოფნითაც უნდა დავკმაყოფილდეთ.

ლიბანი, **სადაც რამდენიმე** წელიწადია აშენებულია ეს სანატორიუმი, მაღალი მდებარეობითა და მშვენიერი ჰავითაა დაჯილდოვებული. ყოველგვარ შინაგან ავადმყოფობას აქ ბუნებისა თავისთავად და მშვენივრად ჰკურნავს, მაგრამ ჭლექი... კაცობრიობის საშინელი მტერი, ჯიუტია. იგი ლიბანის ჰავის მოქმედებასაც დიდ ხანს უძლებს. ლიბანის ჰავასთან ერთად ავადმყოფების გაჯანსაღებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიელ გამოჩენილ ექიმის ფორმანინის მიერ მოგონილ ჭლექის საწინააღმდეგო საშუალებას **„პნეიმატორაქსს“**.

ვზივარ სანატორიუმის ექიმ ნოდიას კაბინეტში. ნოდია მიამბობს **პნეიმატორაქსის** მოქმედების განსაცვიფრებელ შემთხვევებს. ასეთი ამბავი მიამბო: ამ რამდენიმე ხნის წინად სანატორიუმში მისულა რკინის გზელი, პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელსაც სისხლი ამოსდიოდა და ჭლექი ჰქონდა მეორე სტადიისა. ავადმყოფი ტირილით შეხვეწნია ექიმს: დამიხსენ, მიშველეო. მას საშინელი შეხედულობა ჰქონია: სახე გაწვრილებული, მკვდრის ფერი. დახველების დროს ცხვირსახოცი სისხლით იღებებოდა.

— რამდენადაც კი შემეძლო დავამშვიდე ავადმყოფი. — სთქვა ექიმმა: — გულის კანკალით ავიღე მილი და ფილტვები გავსინჯე. როგორც მოსალოდნელი იყო, ავადმყოფს ფილტვში დიდი კავერნა (იარა) აღმოაჩნდა. კავერნა მთელს ფილტვზე რომ ყოფილიყო გავრცელებული, მკურნალობა ავადმყოფს ველარას უშველიდა. ავადმყოფის საბედნიეროდ კავერნას ფილტვის მხოლოდ ერთი მხარე შეეჭამნა, ჭლექის ბაცილებს მეორე მხარემდე ჯერ ვერ მიეღწიათ. მაშასადამე, ავადმყოფის ხსნის იმედი ჯერ კიდევ იყო. ექიმმა ანუგეშა ავადმყოფი. მას **პნეიმატორაქსი** გაუკეთეს: ჰაერი ჩაჰბერეს ფილტვებში მილიანი ნემსით. რამდენიმე ასეთი „ჩაბერვის“ შემდეგ ავადმყოფს სიცხე დაუკლო, გუნება გაუკეთდა, სისხლის დენამაც უკლო. ავადმყოფი საგრძნობლად მოკეთდა. ეხლა ის განკურნების გზაზეა. ჭლექისაგან განკურნება ერთბაშად არ შეიძლება. საჭიროა ხანგრძლივი მკურნალობა. მაგრამ ეს ავადმყოფი, რომელსაც აქამდე სიკვდილი უცქეროდა თვალებში, უკვე გადარჩენილია. და ესა ჰქნეს ლიბანმა და **პნეიმატორაქსმა.** ლიბანის სანატორიუმში ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის. ამ სანატორიუმს ბევრი ავადმყოფი გამოუგლეჯნია სიკვდილის პირიდან. ამიტომაც არის, რომ დიდად უიმედო ავადმყოფსაც კი ლიბანის სანატორიუმში თვალები იმედით უბრწყინავს.

ლიბანის სანატორიუმში ხმაურიან ქალაქიდან მისულ ავადმყოფს პირველ ხანად მოეწყინება ხოლმე, რადგანაც ლიბანის გარშემო რამდენიმე კილომეტრის მანძილზე წიწვიან ტყის მეტი არაფერია. რკინის გზის სადგური თითქმის ერთ ვერსზეა დაშორებული და ავადმყოფსაც უფლება არა აქვს სანატორიუმის ტერიტორიას გასცდეს. ამიტომ ყოველ ადამიანისათვის, და მეტადრე ავადმყოფისათვის, საჭირო გასართობს ავადმყოფი სანატორიუმშივე იძენს. ეს კარგად გაუთვალისწინებია ლიბანის სანატორიუმის მშენებლებს ინჟინერ გვერდწითელს. მის მიერ აშენებულ სათეატრო-საკონცერტო და კინოს დარბაზი ლიბანის სიამაყეა. ამიერ-კავკასიის არც ერთ სანატორიუმში ამისთანა რამ არ არის. ამ საუცხოო დარბაზში ატარებენ დროს ავადმყოფები. ავადმყოფების სმენას ამ დარბაზში ყოველ საღამოთი ატკბობს საუცხოვო როიალი ბეხშტეინისა. ეს როიალი სანატორიუმს მემკვიდრეობით დარჩა გამოჩენილ მომღერალ ტინორის სარაჯიშვილისაგან. ამავე დარბაზში თითონ ავადმყოფები ჰმართავენ წარმოდგენებს, კონცერტებს. იკითხება ლექციები, მოხსენებები.

ასე მიდის ცხოვრება ლიბანის სანატორიუმში, რომელიც მუშათა კლასმა შეიძინა რევოლუციის შემდეგ.

წელიწადში თერთმეტ თვეს, ესე იგი თითქმის განუწყვეტლივ, მუშაობს ეს სანატორიუმი და მხოლოდ ერთ თვეს—აპრილ-მაისს—შესწყვეტს იგი თავის მოქმედებას აუცილებელი რემონტისათვის.

ამჟამად სანატორიუმში 185 ავადმყოფია, ამათში 121 რკინის გზელი.

**ი—ი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტინ

# ახალი სახელი

მაშ მიღებული ვარ მუშფაკში, წამოიძახა დეკანის კაბინეტში მუშა სისაკამ და კაბინეტში მყოფ ადამიანების ყურადღება მიიპყრო თავისაკენ. მუშა სისაკა შუა ტანის კაცი იყო, მისი შავი და მსხვილი წარბები წამომსხდარიყვნენ წამწამებ ზევით როგორც ორი გამძღარი წურბელები, ის მუშაობდა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, ყოველ წამს საქმე ჰქონდა რკინასთან, ამიტომ ხელები დაკოჟრებოდა და მკერდი გარეთ გამოვარდნოდა.

მუშა სისაკა დაბადებულა მუშათა უბანში, აღზრდილა ქარხნის მკერდში, მას სკოლაში არ უსწავლია. პირველ ხანებში უძნელდებოდა და ეხამუხებოდა დამჯდარიყო მოწაფის დაბალ მერხზე, მაგრამ ნელ-ნელა მალე შეეჩვია პირობებს. ფაკულტეტზე მიღებისთანავე, პირველ დღეს სისაკამ სთქვა:

— ვინ გაიფიქრებდა რომ მე და ჩემისთანებს მოუხერხდებოდათ საშუალო ცოდნის მიღება. ყოველთვის, როდესაც დაიწკრიალებდა დასვენებისათვის ზარი წყნარ და მუნჯ ტალანს სიცოცხლე დაეტყობოდა მუშა მსმენელების ხმაურისაგან. ამ ხმაურში მკაფიოდ და გარკვეულათ ისმოდა მუშა სისაკას წყნარი ხმა. სალაპარაკო საგანი მრავალფეროვანი იყო: საუბრობდნენ ქარხნის შესახებ, მუშათა სახლების, მუშფაკის და საერთო საცხოვრებლების ავკარგზე. დაირეკებოდა ზარი ყველა მიეშურებოდა კლასისაკენ. კლასის კედლები მორთული იყო სხვადასხვა ბელადების სურათებით,რომელთა შორის იყო ლენინის სურათიც. ლენინი თვალებ გაშტერებული დასცქეროდა მუშა სტუდენტებს და თითქოს ღიმილით ეუბნებოდა. „ისწავლეთ, ისწავლეთ, ისწავლეთ“. სისაკა იჯდა პირველ მერხზე და ყურადღებით უსმენდა გაკვეთილს, ხშირ-ხშირად შუბლზე ჩამოეშვებოდა ხუჭუჭი თმა და ზოგჯერ შეიჭმუხნიდა განიერ და ფართო შუბლს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, სისაკა სწრაფად შეუდგებოდა გზას შინისაკენ. ის ცხოვრობდა ქალაქის განაპირა რაიონში და რა დროსაც არ უნდა მისულიყო სახლში, მაინც გაზეთი უნდა გადაეთვალიერებია. დროის უქონლობის გამო ის ამოარჩევდა ხოლმე საინტერესო სტატიებს, კორესპონდენციებს წითელ ფანქრით მოუხაზავდა გარშემო, რომ თავისუფალ საათების დროს წაეკითხნა, ხშირათ კი ოჯახური არა სასიამოვნო სურათები და შემთხვევები არ აძლევდნენ ნებას ერთი სტრიქონი მაინც გადაეკითხნა. სისაკას, გარდა ცოლისა, ჰყავდა აგრეთვე დედმამა. ამ ორ შემოდგომის ფოთლებს, რომელთაც თავიანთ საუკუნე მოეჭამათ, ვერ შერიგებოდნენ ვერას გზით იმ აზრს, რომ 35 წლის კაცს შეუძლია სკოლაში სიარული და სწავლის მიღება, ხშირად მოსვლიათ ლაპარაკი სისაკას და მის მამას. მამა ამბობდა:

— ბიჭმა ხარივით უნდა იმუშაოს და დედმამა შეინახოს.

სისაკას მამა უსტა ლევონა მაღალ ტანის კაცი იყო, სახე დაჩენჩილი და ერთი თვალითაც ბრმა; ის პირიდან არ იშორებდა ჩიბუხს, რომლის ბოლი ქულა-ქულა ადიოდა მაღლა და პატარა ოთახის ჰაერს ავსებდა არა სასიამოვნო სუნით. თუმცა თვითონ ლევონა წერა-კითხვის მცოდნე იყო, მაგრამ ძალიან ნასწავლი ადამიანიც ეჯავრებოდა, ხან და ხან ლაპარაკის დროს იტყოდა ხოლმე.

— კაცმა თავის გვარის და სახელის მოწერა იცოდეს, საკმარისია! რა საჭიროა თავის გაბერვა. სულ ერთია ბოლოს დავიხოცებით. კარგა იმუშავე, კარგადაც სჭამე! აი, ცხოვრება.

— ასე ხომ პირუტყვებიც ცხოვრობენ? გარდა ჭამისა, ჩვენ გვჭირდება გონებრივი ცოდნის მარაგი,—შეაწყვეტინებდა ხოლმე სისაკა თავის მამას.

— ცოდნის მარაგი რომელია? ჩვენ რომ ეგ არ გვქონია, რაო, ვერ ვცოცხოვრია?

— თქვენ ჭრაქი აგიბჟუტებაით, მაგრამ მე ლამფას ვანთებ! ხვალ, ხვალზევით ელექტრონის ლამფაც მექნება. შემთხვევით ისარგებლებდა ხოლმე და დედა სისაკას მოაგონებდა, რომ ყოველ დღე ორი გირვანქა ნავთი იხარჯება გაკვეთილების სწავლის დროს.

— მერე რა არის, მშრომელი და მომტანი მე ვარ! იხარჯება,—დაიხარჯოს!—უპასუხებდა ხოლმე სისაკა. ასეთ შემთხვევების დროს, ნუშო, სისაკას ცოლი, მოერიდებოდა ხოლმე მათ არა სასიამოვნო ლაპარაკს.

ნუშო წერა-კითხვის ნახევრად მცოდნე იყო. ხედავდა რა თავის ქმრის ბეჯით მუშაობას, სურდა თვითონაც ესწავლა და ხშირად მიმართავდა სისაკას, რომ შეესწავლებინა ანგარიში. სისაკა ხედავდა თავის ცოლის დიდ სურვილს სწავლისადმი, ამიტომაც საათობით ამეცადინებდა და ასწავლი და მათემატიკის ოთხ მოქმედებას. ამ გარემოებამ უსტა ლევონა უფრო გააცოფა.

— კაცო, აქამდის ერთი სწავლობდა, ეხლა ორნი სცდებიან?

— ეგ ძაღლის ლეკვი, ოჯახს ყურადღებას არ აქცევს, ჭკუა გონება წერა-კითხვას გადააყოლა!—დაუმატებდა ხოლმე სისაკას დედა და ცეცხლზე ნავთს დაასხავდა. რამდენადაც მატულობდა სისაკას და ნუშოს წაკითხულ წიგნების სია, იმდენად უფრო ბრაზობდა უსტა ლევონა.

უსტა ლევონა გავდა იმ ქარს, რომელსაც სურდა ფესვიანათ ამოეგდო ნორჩი ხეები. მას სურდა თავის ლანძღვა-გინების საშუალებით ჩაეხრჩო სისაკას და ნუშოს სწავლის სურვილი. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

ქარხანას და მუშფაკს თავის მხიარულ ჟრიამულით თავიანთკენ მიეზიდნათ სისაკას მთელი გონება. მისი მამა ქარხანა იყო, დედა კი მუშათა ფაკულტეტი. პირველი არსებობის წყარო იყო, მეორე კი—კლასიურ შეგნებას უნერგავდა. თავის სახლი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ერთი მიყრუებული სოფელი, მოწყვეტილი ქვეყნის ყველა ამბებს, კულტურულად ჩამორჩენილი. რევოლიუციის ტალღები ჯერ ვერ გადალვრილიყვნენ მათ სახლში ისე, როგორც თვითონ სისაკას სურდა.

სისაკას დრო ცოტა ჰქონდა, რომ ყურადღება მიექცივნა ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებისათვის. მას ახრჩობდა და მძიმე ლოდსავით გულზე აწვა ის აზრი, რომ მისი ოჯახის დღევანდელი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულიყო; ცხოვრება წინ მიილტვოდა, ოჯახი კი რჩებოდა ძველ ტრადიციების ბურუსში გახვეული.

დილაა.

გაჰკივიან ქარხნის საყვირები და სამუშაოდ იწვევენ მუშებს.

— გესმის, ნუშო, აი, ეს საყვირი ჩვენი ქარხნისაა! ათი საყვირი რომ ერთად გაჰკიოდეს, მაინც ვიცნობ ჩვენი ქარხნის საყვირს.

— რასაკვირველია, იცნობ! ათეული წლებია, რაც შენ მის გამოძახილზე წასულხარ სამუშაოდ.

აგერ მთავარ სახელოსნოს საყვირი დაიყვირებს მეორედ და მუშები უფრო მოუჩქარებენ ნაბიჯს. ადამიანებთან ერთად მუშაობენ მრავალი მანქანები. იწყება ჟრიამული, მხიარულება და ეს ყველა ისეა მოწყობილი, თითქოს საათის მექანიზმი იყოს. ტოკავს ერთი და მას ჰყვებიან დანარჩენებიც. ტოკავს აგრეთვე სისაკას დაზგაც.

სისაკა როგორც სკოლაში, აგრეთვე ქარხანაშიაც ხმა ამოუღებლივ დაწაფებულია თავის სამუშაოზე. ერთ წუთსაც არ ჰკარგავს ტყუილ-უბრალოდ. მუშებს მისთვის მეტი სახელი „ნოტი“ დაერქვათ. და ის „ნოტ“-ითაც მუშაობდა.

ბევრი მუშათაგანი სამუშაოს ხუთი და ათი წუთით თავს ადრე ანებებდა,

სისაკა ყოველთვის ილაშქრებდა ასეთ მოვლენების წინააღმდეგ და ამბობდა:

— ჩვენთან დაახლოვებით 3000 ადამიანი მუშაობს, თუ რომ ყველა ხუთი წუთით ადრე მიატოვებს სამუშაოს, მაშინ დაახლოვებით ერთი თვის სამუშაო საათებს ვკარგავთ.

— წადი, შენ საქმეს მიხედე, შე ტუტუცო, დიდი ხანია რაც ანგარიში შეგისწავლია? ეუბნებოდნენ სისაკას.

სისაკა საქმეს მორჩებოდა თუ არა იარაღებს დაასუფთავებდა, ჩაალაგებდა ყუთში და გაეშურებოდა მუშფაკისაკენ. ის არასდროს ფეხით არ დადიოდა. მისთვის ყოველი წუთი ძვირი იყო და გამოანგარიშებული. ზოგჯერ ის ხუმრობით ამბობდა:

— ჩვენ რევოლიუციის საშუალებით შევსძელით ძველი წესწყობილების გარდაქმნა, მაგრამ ვერ შევსძელით დღის საათების გაგრძელება. სახლში კი დედამამა სისაკას მოსვენებას არ აძლევდნენ. ნუშო ქმარზე უფრო მეტ სურვილს გამოსთქვამდა სწავლისადმი. ნუშო, ის ძველი ნუშო აღარ იყო, რომლის თავზედაც კაკალს ამტვრევდნენ, ნუშო იბრძოდა და ამბობდა:

— გაჰქრენ, წავიდნენ ის დღეები, როდესაც მთელი ქვეყანა და სახლი მჩაგვრელთა ხელში იყო სათამაშო ნივთათ გადაქცეული. ეხლა ყველა ადამიანს თავის უფლებები აქვს, მეტადრე ჩვენ, რომლებმაც მოვახდინეთ რევოლიუცია და დავამხეთ თვით მპყრობელობა. დავამხობთ აგრეთვე ძველ ოჯახს და შევქმნით ახალს.

— ვინც შენ ენა ჩაგიდგა, ოხ რა ვთქვა. წინანდელი დრო უნდა იყვეს, რომ გვერდები მაგრა დამეზილა,— ამბობდა ხოლმე უსტა ლევონა და ბრაზმორეული გამოვიდოდა სახლიდან.

*****

დღე მოღრუბლულია.

ზეცა ჩამობნელებული, ღრუბლებსავით ჩამოშვებულია უსტა ლევონაც; მის სიბრაზეს და აღელვებას მიეღწივნა უმაღლეს წერტილამდე. თავის შვილის და რძლის ასეთი საქციელი და უადგილო პასუხები მეტის-მეტად აბოროტებდენ. ის მოელოდა, რომ დრო ეპოვა და მთელი რისხვა გადაენთხია სისაკას თავზე.

სისაკაც სწორედ ამ დღეს გაბოროტებული იყო, მას გაკვეთილი ვერ ეპასუხნა და ასე ორი მოწინააღმდეგე პოლიტიკები შეხვდნენ ერთმანეთს.

სისაკამ სახლში შემოსვლისთანავე ხელი წამოავლო გაზეთს. გადაატრიალ-გადმოატრიალა და უცებ წამოიძახა.

— უკვე 7 საათიან დღეზე უნდა გადავიდეთ, გაიღიმა და გაზეთი გადასცა თავის ცოლს.

— მე უკვე წავიკითხე, აი ჩემი ნახატი ქარხანაც. ნუშომ აჩვენა თავისი შრომა, მას დაეხატნა დიდი ქარხანა, სამუშაოდ მიმავალ ახალგაზრდა მუშებს თან მიჰყვებოდათ ნიშანი შვიდი მოხუც მუშებს კი, რომლებიც უკან ბრუნდებოდნენ სამუშაოდან თან მოჰყვებოდათ ნიშანი რვა.

— მაშ ასე, გაუმარჯოს 7 საათიან სამუშაო დღეს, რომელიც რევოლიუციონურ მუშებს შეაქვთ ქარხანაში. ეს სიტყვები სისაკამ ისე ხმა მაღლა წამოიძახა, რომ მისმა მამამ გაიგო და საწოლში გადმობრუნდა მეორე გვერდზე.

— გაჩუმდი, მამაშენია!

ნუშოს ჯერ სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ უსტა ლევონამ თავი წამოჰყო და ათასგვარი უშვერი სიტყვებით მიმართა სისაკას. სისაკამ ველარ მოითმინა:

— გეყოფათ, მაცალეთ ცოტა ხანს, დავისვენო, რა გინდათ ჩემგან? მთელი დღე ვმუშაობ და სახლშიაც არ მასვენებთ?

— სისაკ, ფრთხილად! მეზობლებს სძინავთ, გააფრთხილა ნუშომ.

— რა ვქნა, რომ სძინავთ! აღარ შემიძლიან ასეთს პირობებში ცხოვრება; რევოლიუცია საკმარისი არ არის! რაც მოხდა ქვეყანად, ის უნდა მოხდეს ოჯახშიაც, ადამიანშიაც! ჩვენ დავამხეთ მეფე, დავამხობთ აგრეთვე ძველ ოჯახსაც. ჩვენი სახლის დატოვება ასეთ პირობებში, შეუძლებელია! მე ხვალვე ბოლოს მოუღებ ასეთს კომედიას.

დილით სისაკა სამუშაოთ არ წავიდა; ის გადასახლდა სხვა მუშათა საერთო საცხოვრებელ ბინაზე. დედმამა კი დასტოვა ძველ საცხოვრებელში, ძველ ადათ ჩვეულებებთან ერთად. ყოველთვის კი მატერიალურად ეხმარებოდა მათ.

ახალმა ბინამ, სისაკას და ნუშოს უფრო დიდი გასაქანი მისცა, რათა განეხორციელებინათ თავიანთი დასახული მიზნები კულტურულ ფრონტზე. შეჰქმნეს ახალი ოჯახი ახალი ყოფა-ცხოვრებით.

**თარგმანი სომხურით არტ. დავითიანისა.**

# მოგონება ნიკო ფიროსმანიშვილზე

## (მისი სურათების გამოფენის გამო)

ჩამოხატული ლაქიანი ცილინდრით და ხელში საღებავის პალიტრით, მიკიტნის დაზგასთან აი ვინ იყო გარეგნულად ნიკო ფიროსმანიშვილი!

ყარაჩოღელ ხალხში მუდამ ნიკალაი გოდრევიჩათ ცნობილი. ქუჩაში მიმავალ ნიკოს, დუქნებიდან დიდი და პატარა მიაძახებდენ გასაჯავრებელ სახელს:—ნიკალაი გოდრევიჩ, ნიკალაი გოდრევიჩ! ნიკო აუჩქარებდა ნაბიჯს.

ეჯავრებოდა ცუდი მოლაყბე ხალხი. მაგრამ, როგორც იტყვიან: მელას ...ს მახრჩობელა უყვარდაო, — მეორე დღეს ისევ იმ ხალხთან იყო.

ზოგი რას ავალებდა და ზოგიც რას: ზოგს უწერავდა აბრებს, ზოგს უხატავდა მინებსა და კედლებზე.

ნიკოს კარგა იცნობდენ მალაკნის, ავჭალის, სადგურის და დიდუბის ქუჩებში, ვერისა და ორთაჭალის საქეიფო ბაღები და გზის დუქნები.

ყველგან ნახავდი ნიკოს დახატულ სურათებს.

ნიკოს გადამეტებით უყვარდა სოფელი: სოფლის დღეობა - ღრეობა, ხატობა და ქორწილი. ასეთი სურათები ბევრი აქვს ნიკოს დახატული.

თუ რომელ მიკიტანს, ან სირაჯს ესაჭიროებოდა ნიკოს თავი, მოჰკრავდენ თუ არა ქუჩაში მიმავალს თვალს, მიაძახებდენ: ნიკოჯან, მობრძანდი! აბა, დახლიდარო, ერთი დიდი არაყი მოართვი ნიკალაი გადრევიჩსო,- და შემდეგ საქმეს დაავალებდენ.

— ერთი ამა და ამ გიმოს სურათი უნდა დამიხატო, თავის ტიკით, ყანწით და ქამრიანის ჭიქითო.

ნიკოც ხატავდა. თავის სახელ - საქმო იარაღი მუდამ თან ჰქონდა.

მხოლოდ მასალის ფულს გამოართმევდა, რომ ეყიდნა ზეთი, შიფირვეზი, მუმია და საჟი. (ეს სახელები მე ნიკომ მასწავლა). ნიკოს უყვარდა ჩქარი სიარული, ჩქარი მუშაობა. შეკვეთას იმ დღესვე ჩააბარებდა.

1906 წელს მე ვიყავი მალაკნის ქუჩაზე ღვინის - სარდაფში. ვიქნებოდი ასე 17 წლისა და ვეტანებოდი წიგნების კითხვას.

ნიკომ ჩემთან იპოვა ნავთ - სადგური, ჩემთან დაიგდო ბინა. ყოველ თავისუფალ დროს ჩემთან ატარებდა, და წიგნის კითხვას ხმა მაღლა მავალებდა, რომ მასაც ყური დაეგდო.

ვეფხის ტყაოსანის ადგილები ზეპირად იცოდა, მუდამ შოთას სიტყვებს ღიღინებდა.

ნიკო თვალს ადევნებდა განმანთავისუფლებელ მოძრაობას და მისი შედეგი აინტერესებდა.

ნიკო იყო სპეტაკი სულის, თავმდაბალი და მორჩილი. ნიკოს ღრმად სწამდა, რომ ერთხელაც ჩემს ნახატებს ყურადღებას მიაქცევენო.

— მე, გრიგოლ, პარიზშიაც მიცნობენო,—მეტყოდა ხოლმე ფიქრებიდან გამორკვეული და მოღიმარი.

ნიკოს ნახატებს საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება მიაქცია. გადაწყვეტილი იყო მალაკნის ქუჩას, სადაც ნიკომ გაატარა თავისი სიცოცხლის დღენი და სადაც უკანასკნელად დალია სული, **ფიროსმანის სახელი** დარქმეოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება დღემდინ არ არის შესრულებული. იმედი მაქვს დღეიდან მაინც, როცა ვიცით მალაკნის ქუჩას გაგანიერება ელოდება, მას ფიროსმანის სახელს უწოდებენ.

**გ. ნ—ძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. ირ. თოიძის.

# მეცხრე დანა

პაპანაქება შუადღეა შანხაიში.

ფართე ქუჩაზე ადამიანის ზღვა მოძრაობს, ირხევა და თან მიყავს ტროტუარზე მოსიარულენიც.

უცხოელები, აბრეშუმებში გამოწყობილი ვაჭრები მიემართებოდენ რიკშებით და ოფლში გაწურულნი მიათრევდენ პატარა ტომსიკებს.

მთავარ ქუჩების კუთხეებში — ინგლისის პოლიციელები გრძელი ლერწმის ჯოხებით სცემდენ ყოველ ჩინელ მუშას, რომელიც გაბედავდა და ქუჩიდგან ტროტუარზე გადმოვიდოდა.

დიდი მოედანი კი, სადაც ჩამწკრივებულია ვაჭრების პატარა დარაბები და დამტარებელთა საქონელი, სავსეა სხვა და სხვა — ოფლიანი, გასვრილი და შუადღის სიცხისაგან ქანცმილეული ხალხით.

დღეს — სადღესასწაულო დღეა. გარდა ამისა „პირველი მაისი“.

უნდა კაცმა ისარგებლოს ამ დღით.

მაგრამ სად წავა საწყალი ჩინელი, თუ არა ბაზარში, სადაც ის ასეთსავე საწყალ ჩინელებს შეხვდება.

აი, იქ. პატარა მოედანზე, თოვლივით თეთრ დაფასთან, ორმა ჩინელმა ძმებმა — ჩან-კაი-ლიმ და ჯან-შინმა, გაფინეს თავიანთი დიდი ხალი და ართობენ გარს შემოხვეულ საზოგადოებას.

მივიდეთ უფრო ახლოს და ვნახოთ რა ხდება.

გრძელი, გალესილი დანა ისარივით მიჭრის, მიფრინავს, ლურჯი ბრწყინვალებით, როგორც ელვა, და ესობა დაფას, რომელიც ჯან-შინის თავის უკანა სდგას.

თორმეტი ბასრადალესილი, გრძელი დანა ვიწრო რგოლათ უნდა შემოევლოს ჯან-შინის უბედურ თავს. მაშინ ნასიამოვნები საზოგადოება გადაუგდებს ძმებს რამოდენიმე ოაოას.

უმიზნებს დანებს უფროსი ძმა — ჩან-კაი-ლი და ყოველ სროლის შემდეგ, ორი ნაბიჯით უკან იხევს და უმიზნებს შემდეგს.

უკანასკნელი დანა ოცდა ხუთი ნაბიჯიდან გასრიალდება.

სანამ დაუმიზნიბდეს ამ უკანასკნელ მეთორმეტე დანას, ჩან-კაი-ლი ზედმეტჯერ რწმუნდება თავისი კუნთების სიმაგრეში.

ლურჯი ელვა, ყველა დანარჩენებზე გრძელი, მისი ხელიდან სწყდება, ისარივით მიჭრის წინ და დაფაზე დატოვებოოო ცარიელ ადგილს ერჭობა — უკანასკნელ თავისუფალ სანტიმეტრზე.

მჭიდროთ შემორტყმული ხალხი სულგანაბულა და მძიმეთ სუნთქავს. იაიას ქების ხმები და აპლოდისმენტები ხელოვანი არტისტების საპატივცემულოთ.

შვიდი წელია ერთი მეორეზე, ყოველდღე, ხალხით მოზღვავებულ მოედნებზე, ჩან-კაი-ლი და ჯან-შინი აჩვენებენ თავიანთ ხელოვნებას და სიმამაცეს, შვიდი წელია, ყოველდღე და არც ერთხელ შეცდომა არ მოსვლიათ.

— დააცდენ თუ არა ოდესმე? — უგემური ღიმილით ჰკითხა დარაბის კარებში მდგომმა მოხუცმა, მსხვილმა ვაჭარმა, რომელიც გაქუცულ გორილას უფრო ჰგავდა. ვინემ ადამიანს.

— თუ ოდესმე დავაცდენ, მაშინ მენ არ აგცდება — ბებერო მაიმუნო! უპასუხა მშვიდათ ჩან-კაი-ლიმ, რომელიც მთელი თავისი ძალღონით დაფიდან დანებს აძრობდა და ემზადებოდა მეორე სეანსისათვის.

ჯან-შინი კი, ამ დროს თავის მოვალეობას ასრულებდა — ლანგრით ხელში უვლიდა მაყურებლებს, საჩუქრის შესაგროვებლად.

ძმებმა ნაღვლიანათ გადახედეს თითქმის ცარიელ ლანგარს — დღეს შემოსავალი ძალიან მცირე იყო.

მახლობლად გულშემზარავი ხრიალი მოისმა, თითქოს ოც სართულიანი შენობა დაინგრაო. ხალხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს და შეშინებული გაიფანტა.

ვაჭრები თაგვებივით ერთს წუთში შეძვრენ თავიანთ დუქნებში — სოროებში და ჩაიკეტნენ.

მოედანი თვალის დახამხამებაზე დაცარიელდა.

ძმებსაც უნდოდათ მიებაძათ ხალხის მაგალითისათვის, მაგრამ ვერ მოასწრეს.

ამ დროს მოედანი ხელახლა გაივსო პანიკისაგან დამფრთხალი ხალხით. მორბოდენ მუშები ნავთსადგურიდან, კაცები და ქალები; ბავშვებს სირბილის დროს ხელში იტაცებდნენ; მათ უკან კი გაბრაზებული, წითურ სახიანი ადამიანები, მცველთა ფორმაში, ხელში თოფებით, ჩაფხუტებით, ჩინელთათვის უცხოელები, მოსულები, რომელთაც შანხაიში ჩვეულებრივ უწოდებენ „ისინი“.

ხალხი ეკვროდა კედლებს და ერთი მხრიდან მეორეს ეხეთქებოდა.

ძმები კი მახლობელ დუქნის უკან დაიმალენ, საიდანაც ისინი ხედავდნენ საზარელ სანახაობას.

თავზე ხელაღებულმა თოფიანებმა, როდესაც შეატყვეს, რომ ბრბოს ველარ დაეწეოდნენ, უკანასკნელად, რამოდენიმეჯერ კიდევ ისროლეს.

მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც ძმები სრულებით არ მოელოდნენ.

მათ ხალხზე მძიმედ დაეცა, მდევნელებისაგან გამოქცეული, ნავთსადგურის მუშა. ხელში მას ეკავა და მაგრად იზიდავდა გულისკენ წითელ დროშას. დაჭრილი რამოდენიმეჯერ შეიმანჭა, დაიკრუნჩხა და სამუდამოდ გაცივდა. შემთხვევა იმდენად ჩვეულებრივი იყო შანხაისათვის, რომ მან ვერ შესძლო განსაკუთრებული სიძლიერით აეღელვებია ძმები. მათ ყველაზე უფრო აწუხებდათ სისხლისაგან გასვრილი ხალი.

მათ ხომ ის დაეღუპათ და მეორე კი აღარა ჰქონდათ! რა უნდა ექნათ?

ჩაფხუტებიანების ღვარძლიანობა უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ამ ერთად - ერთი მსხვერპლით; გვამთან რევოლვერით და მათრახით ხელში მივიდა უფროსი. შეჰხედა გაჭიმულ გვამს, ზიზღით ჩაჰკრა მას ფერდში წიხლი, ერთხელ კიდევ ესროლა და თავის ენაზედ რაღაც უშვერი გინება დაურთო.

გაისმა რამოდენიმე ენერგიული ბრძანება: და ხალხი დაიშალა. მკვდარი აუღებელი დარჩა.

მაგრამ რა მოხდა აქ არაჩვეულებრივი?

ჩვეულებრივი ქუჩური ინციდენტი და სხვა არაფერი!

მართალია, ხვალ ადგილობრივ გაზეთში ქრონიკიორი ორიოდე სიტყვით გადმოგვცემს მოკლულ ჩინელის შემთხვევას, რომლის ვინაობა თუმცა გამოურკვეველია, მაგრამ მაინც დასწერენ, რომ „ყველა ნიშნებით მოკლული ეკუთვნის ბოროტმოქმედ ნაძირალების ჯგუფს“!..

და ბოლოს, ყველა ჩინელები — ხომ ბოროტმოქმედნი და ნაძირალები არიან!

ჩინელები დიდი წარმოდგენის არიან თავის თავზე, გათამამდნენ და ამიტომაც დასაჯეს.

მეორე დილას, მსხვილმა ვაჭარმა, რომელიც გორილას ჰგავდა, გაშალა საქონელი დაზგაზე და ყველა მყიდველებს განუცხადა, რომ დღეს ყველაფერი ცოტა უფრო ძვირი შეიქნა! ხომ უნდა დაფაროს მან გუშინდელი, მოულოდნელი შემთხვევით მოტანილი ზარალი?

— მოკლული მუშა?... დაივიწყეთ მასზე! აბა დახედეთ ამ მშვენიერ ჩინურ აბრეშუმს...

მოედანზე გაშლილი არტისტების ხალი სავსებით გაშრა; მხოლოდ გუშინდელ შემთხვევის გამო ემჩნეოდა დიდი, სისხლიანი ლაქა.

ჯან-შინი ჩვეულებრივ დადგა თავის საფარის წინ, ჩან-კაი-ლიმ კი აიღო თორმეტი დანა და საზოგადოებას შესთავაზა გულმოდგინეთ გაესინჯათ. ძმების პატიოსნება ყველასათვის იყო ცნობილი, ხალხმა გასინჯა ცალ-ცალკე თვითეული დანა და დაუბრუნა ისევ არტისტებს.

და, აი, ხელახლა აციმციმდენ ლურჯი ელვანი...

პირველი დანა, მეორე, მესამე.... მერვე...

დაფა მაგნიტივით იზიდავდა...

ჩან-კაი-ლი შეჩერდა, მკაცრად ასჭიმა წარბები, თუმცა ის ძმიდან ძალიან ახლო იყო.

— ეჭვი არ შეპარება, ეხლა იგი დააცილებს, — წარმოსთქვა ცბიერად ვაჭარმა.

მაგრამ ჩან-კაი-ლი რატომღაც არ ჩქარობდა....

იგი ნიშანს აღარ უყურიდა— თვალები მას სადღაც შორს ჰქონდა მიპყრობილი — ძმის თავის მაღლა.

იქ — კი კოლონიის ჩაფხუტი, რომლის ქვეშ სჩანდა ღვარძლიანი, გამოფიტული, უსაქმურობისაგან მოწყენილი სახე გუშინდელი „რაინდიუფროსის“.

ამბობენ, რომ მკვლელს ყოველთვის იზიდავს ის ადგილი, სადაც მას ბოროტმოქმედება მოუხდენია.

ჩაფხუტიანმა დაამთქნარა და პირი ხელის გულით დაიფარა.

— ოხ, ეს საძაგელი ჩინელები ასეთი ერთფერები არიან ყოველთვის! მათ, რასაკვირველია, აქვთ უძრახი სიმარჯვე, მაგრამ მოსაზრება კი არც ერთი გროშის!...

მოკლე, ლურჯი ელვა... მეცხრე დანა და... ჩაფხუტიანი დაგორდა, ყელში გრძელ-დანა ჩასობილი .

გუშინდელ მუშაზე კიდევ უფრო მძიმედ დაეცა მიწაზე ერთი მათგანი, რომელთაც შანხაიში ეძახდენ „ისინი“.

გაქუცულ გორილას მსგავსი ვაჭარი თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ იყო მართალი: მთელი შვიდი წლის განმავლობაში ჩან-კაი-ლიმ დააცილა მხოლოდ ერთხელ.

**მ. ერდელი.**



სამხრეთ-ოსეთი—ბრიტატის აული (კურორტი).



მინერალური წყლების ტბა ბრიცატის აულთან..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაცრისფერი ქალაქი









ფრანგმა კოლონიზატორებმა და ავანტიურისტებმა უამრავი ოქრო, კაუჩუკი, სპილოს ძვალი და ბამბა გამოიტანეს დასავლეთ აფრიკის კოლონიებიდან. სამაგიეროთ ადგილობრივ მცხოვრებლებს სიფილისი და ალკოჰოლი გააცნეს.

ქალ. ტიმბექტუ — ალგზნებული ლაბირინტი, როგორც მას ერთი მოგზაური უწოდებს. სახლები თიხის ოთხკუთხედებს წარმოადგენენ, ქვემოთ პაწია შესავალი აქვთ, ზემოდან აფრიკის ულმობელი მზე დაქათქათებს. თიხის ქოხებსა და გახურებულ კლდის ნაპრალებს შუა იზრდება ზანგების ახალგაზრდობა, თეთრი პლანტატორების მომავალი მონები ყოვლის შემძლე მთავარი ეშმაკი დასავლეთ აფრიკის ზანგთა ერთი ტომისა, როცა იუფუშას ტომის მკურნალი ამ ნიღაბს აიფარებს, იგი ღმერთის გლახა განხორციელება ხდება. მას უფლება აქვს ტო ვერავინ შეუბრუნებს.
რთი გლახ განხორციელება ხდება. მას უფლება აქვს ტომის ყოველი წევრი გაწკეპლოს, მოჰკლავს კიდეც, სიტყვას ვერავინ შეუბრუნებს — შავი ჯადოქრული ცეკვის „პრიმა ბალერინა“. ხელში დოლის მაგივრად უბრალო თეფშები უჭირავს. სახე მოხატული აქვს, პირში სასტვენი აქვს.

რვა ზანგია საჭირო, რათა თეთრკანიანმა მანდილოსანმა შეუშფოთებლად იმოგზაუროს.



ეროვნული

# ფიშების და უოლენების საშფლობელოში

მისტერ ფიში, თავმჯდომარე შეერთებული შტატების სენატის კომისიისა, რომელიც იკვლევდა კომუნისტების მოღვაწეობას შეერთებულ შტატებში, დაჟინებით ცდილობდა გაეგო „ამტორგ“-ის თავმჯდომარე ამხ. ბოგდანოვისაგან—მართლა აპირებენ თუ არა კომუნისტები კაპიტალისტური წყობილების დამხობას და ამისათვის არაფერს არ ერიდებიან. რაც შეეხება კაპიტალიზმის დამხობას, მისტერ ფიშს ყოველ კომუნისტურ ბროშურებში შეეძლო წაეკითხა, რომ კომუნისტების მიზანი სწორედ კაპიტალიზმის დამხობა და სოციალიზმის დამყარებაა. ამ ბროშურებში ამ მიზნების განსახორციელებელ საშუალებასაც გაეცნობოდა მისტერ ფიში. მათ შორის არ არის „ყოჩაღგვაროი“ საშუალებები—მაგალითად, ბანდიტიზმი, მექრთამეობა, მოსყიდვა და სხვა, რასაც ამერიკული „დემოკრატია“ ოფიციალურად ჰგმობს და სდევნის (სიტყვით), სინამდვილეში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყენებს კაპიტალისტური ბატონობის შესანარჩუნებლად. მისტერ ფიში იცავს ამერიკის „დემოკრატია“-ს „უზნეო“ კომუნისტებისა და კომუნიზმისაგან“. მაგრამ ორიოდე მაგალითზე გავეცნოთ, თუ რას წარმოადგენს ეს „მაღალზნეობრივი“ ამერიკული „დემოკრატია“.

## დაკანონებული ბანდიტიზმი

შეერთებულ შტატებში ხალხს, რომლებიც „ფულებს აკეთებენ“ მკვლელობის და თავდასხმების ორგანიზაციით, „რაკეტირებს“ უწოდებენ. „რაკეტერები“ წარმოადგენენ შეიარაღებულ მძლავრ ბანდას, რომელიც შიშის ზარს სცემს მოსახლეობას. ისინი უხვ ხარკს აგროვებენ მრეწველებისა და ვაჭრებისაგან, რომლებიც ფართოდ სარგებლობენ „რაკეტირების“ დახმარებით, როგორც მუშების წინაალმდეგ, ისე თავისი კომერციული ოპერაციებისათვის. მარტო საშკერვალო მრეწველობას 1929 წ. „რაკეტირების“ შენახვა დაუჯდა 2 მილიონი დოლარი. შეერთებული შტატების დიდ სამრეწველო ცენტრში—ჩიკაგოში რაკეტირების მიერ შეკრებილმა ხარკმა 136.000.000 დოლარს მიაღწია. მთელ შეერთებულ შტატებისათვის კი ეს ხარკი 1.000.000.000 დოლარამდე აღწევს.

„რაკეტირების“ ორგანიზაციის აყვავებას ხელი შეუწყო შეერთ. შტატების დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციამ „ტამანი ხოლ“—(ბურჟუაზიული ორგანიზაცია, რომელიც დემოკრატიულმა პარტიამ დაარსა გასული საუკუნის 60-იან წლებში სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში თავისი კანდიდატების გაყვანის უზრუნველსაყოფად. სახელი გაითქვა გრანდიოზული ბოროტმოქმედებებით, ხელისუფლების წარმომადგენლების მოსყიდვით, ძალადობითა და აფერისტობით), რომელიც განსაკუთრებულ ენერგიას აჩვენებს არჩევნების დროს და თავისი მოპირდაპირეების წინააღმდეგ ბრძოლაში არ ერიდება მკვლელობას, ცეცხლის წაკიდებას და სხვ. „ტამანი ხოლ“ არ მოერიდა „რაკეტირების“ გამოყენებასაც თავისი მიზნების განსახორციელებლად.

მრეწველები თავისი შემოსავლის 2 პროცენტს აძლევენ „რაკეტირებს“ მუშებისა და ხშირად თავიანთი კონკურენტებისათვის „ანგარიშის გასასწორებლად“. ფორდიცა და „ჯენერალმოტორს კომპანიც“ კი სარგებლობს ამ ბანდის დახმარებით. „ჯენერალ მოტორსმა“ „რაკეტირების“ საშუალებით მიაღწია იმას, რომ მიიღო მონოპოლიური უფლება თავისი ტაქსომოტორების დგომისათვის ნიუიორკის ყველა ბოლაზებთან და რკინიგზის სადგურებთან.

„რაკეტირების“ დახმარებით ფაშისტები სარგებლობს ამერიკის შრომის ფედერაციაც კომუნისტებთან და მემარცხენე პროფორგანიზაციებთან საბრძოლველად. რეფორმისტები „რაკეტირებს“ აძლევენ პროფწიგნაკებს, ხიშნავენ შტატში და დიდჯამაგირიან თანამდებობებზე.

ამერიკის მეშჩანური საზოგადოება გატაცებულია ყოველიკე „დიადით“, თუგინდ ეს „დიადი“ ბანდიტიზმს წარმოადგენდეს. „დიდ“ რაკეტირებზე შეერთებულ შტატებში ლაპარაკობენ ისევე, როგორც გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებზე.

საკმაოდ დამახასიათებელი ერთ-ერთი გამოჩენილი „რაკეტიორის“ **ვაკკარელის** ბიოგრაფია. ეს ყოფილი ჯიბგირი, სამიკიტნოს პატრონი, რომლის სპეციალობას შეადგენდა ფულების გამოტყუება საროსკიპო სახლებისა და აზარტულ სათამაშოთა დაწესებულებების პატრონებისათვის, შემდეგ გახდა შუამავალი-მოთავე, რეფორმისტული კავშირის და ფაშისტური „შუშათა“ ლეგიონის თავმჯდომარის მოადგილე. ვაკკარელი ამით არ დაკმაყოფილდა და მიიღო „გაერთიანებისათვის“ მადლობის სიგელი მისი რეფორმისტული შრომის ფედერაციის ლიდერებისაგან. ბანკეტებს, რომელსაც ეს ბანდიტი აწყობდა, ესწრებოდნენ ნიუ-იორკის სასამართლოს ყველა მოღვაწეები და პოლიტიკოსები.

ამერიკული ზნე-ჩვეულებებისათვის დამახასიათებელია ერთი „რაკეტირ“ **იატმენის**, რომელსაც ყოველ წუთში შეეძლო 1200 შეიარაღებული ბანდიტის გამოყვანა. მან მოკლა მილიონერი და თუმცა მას „ტამანი-ხოლის“ მოსამართლეები ასამართლებდნენ, სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლება მაინც ვერ შესძლეს.

თავის დროზე „ჰქუხდა“ „რაკეტირი“ **ტენესიც**, რომელიც თავის მოწინააღმდეგეებს ბომბებით ებრძოდა. იგი ინახავდა პოლიციის მოხელეთა მთელ არმიას, რომელიც მისი ბრძანებით აპატიმრებდა ტენესისათვის არასასურველ პირებს.

„ცნობილია“ **ჯონ ტორიოც**, კონტრაბანდისტი, იგი მილიონერი გახდა და პატივისცემით სარგებლობს უოლენებისა და ფიშების წრეში.

თავის მეთაურებს ბანდიტები ასაფლავებენ ისეთი ზეიმით, როგორითაც გამოჩენილ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს. რაკეტირ ბასიონეს დაკრძალვაზე ბანდიტთა ორგანიზაციამ რამდენიმე ასი ათასი დოლარი დახარჯა. მის კუბოს მიჰყვებოდნენ სასამართლოს გამოჩენილი მუშაკები და პარლამენტის წევრები, მათ რიცხვში სენატორი **ჯიმი** ილინოისიდან.

საკითხია—ასეთი ზეიმით დაასაფლავებენ თუ არა სენატორ ფიშს!

მაგრამ ყველაზე თავბრუდამხვევი, ეჭვგარეშეა, არის რაკეტირ **კაპონეს** კარიერა. 20 წლის წინად ის იყო უბრალო რაკეტირი ე. წ. „გარყვნილ ტრესტში“, რომელიც საროსკიპო სახლებში მომუშავეებს აერთიანებდა. შემდეგ ტრესტმა მაგარი სასმელების კონტრაბანდული ვაჭრობას მიჰყო ხელი. ამ საქმეში კაპონემ გამოიჩინა დიდი მოხერხება და ენერგია. მან ტყვიამფრქვევებით შეაიარაღა თავისი ბანდა და ისე ებრძოდა მეტოქე ბანდებს. მოკლულთა გვამებს კაპონე სწვავდა თავის „საოჯახო კრემატორიუმში“. კაპონეს „ბანდიტების იმპერატორს“ უწოდებენ. ოფიციალურად არის დადასტურებული, რომ მისი ორგანიზაციის შემოსავალი 1926 წ. 70 მილიონ დოლარს უდრიდა. აქედან ნახევარზე მეტი ჩიკაგოს შეძლებულ მცხოვრებთაგან მიიღო ხარკის სახით.

კაპონე ცხოვრობს ხელგამშლელათ ყველაზე უფრო სახელგანთქმულ კურორტზე — მიამში, სადაც მას აქვს ციხე - სიმაგრის მსგავსი სახლი. კაპონეს ჰყავდა მეტოქე—მორანის ბანდა. ბანდიტთა ამ ორ ორგანიზაციას შორის ჩიკაგოს ქუჩებში იმართებოდა ნამდვილი ბრძოლა ტყვიამფრქვევებით. ამ რამდენიმე ხნის წინათ მორანის ბანდის ერთ-ერთი წევრი მის ავტომობილში ტყვიამფრქვევით დაცხრილა კაპონეს ბანდამ მეორე ავტომობილიდან. ამერიკული პრესა იუწყება, რომ კაპონესა და მორანს შორის შეთანხმება მოხდა და მათ ჩიკაგო გაიყვეს „გავლენის სფეროებათ“.

კურიოზულია, მაგრამ ფაქტია [illegible]პონეს სურათები, დამახასიათებელი ჭრილობით სახეზე, ხშირად ნაკლებ არ იბეჭდება გაზეთებში, ვიდრე ჰუვერის ან ფორდის სურათები.

## კანონს გარეშე გამოცხადებული რასა

ეს რასა არის — ზანგები. 11 მილიონიანი ზანგების მოსახლეობა „თავისუფალ“ „დემოკრატიულ“ შტატებში, რომელსაც ფიშები და უოლენები „იცავენ“ კომუნიზმის ბაცილისაგან, ისეთივე მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიც ებრაელები იმყოფებოდნენ მეფის რუსეთში.

„საზოგადოება ზანგს უყურებს, როგორც პარიას, მის წინააღმდეგ ამხედრებულია თეთრკანიან ამერიკელის რასიული მედიდურობა. ყველა რკინიგზებზე ზანგებისათვის შემოღებულია განსაკუთრებული ვაგონები და ის ვერასოდეს ვერ გაბედავს თეთრკანიანების რესტორანში შესვლას. მას არ ითმენენ იმ სახლში და იმ ქუჩაზეც კი, სადაც თეთრკანიანები ცხოვრობენ“, —ასე სწერს ზანგების მდგომარეობის შესახებ ცნობილი გერმანელი ბურჟუაზიული პუბლიცისტი **გ. გოსლარი.**

„ზანგების გასამართლება ლინჩის წესით (თვით გასამართლება. **ნ. რ-ძე**) სასიამოვნო დროს გატარებას წარმოადგენს თეთრკანიანებისათვის. 1922 წ. ადგილი ჰქონდა 45 თვითგასამართლებას, რომელზედაც ხალხს დასასწრებათ იწვევდნენ გაზეთების საშუალებით და რომელთა წინააღმდეგ პოლიციას არავითარი ზომები არ მიუღია. „უმაღლესი“ თეთრი რასის მამაკაცები, ქალები და ბავშვები ესწრებიან ამ თვითგასამართლებას და თვალებით სჭამენ უბედურ შავკანიან მსხვერპლს, რომელიც საშინელ წამებაში იგრიხება ცეცხლის ალში გახვეული, მიბმული ბოძზე“, — სწერს ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე **ი. ამტერი.**

შავკანიანების ამ აუტანელმა მდგომარეობამ „დემოკრატიულ“ ამერიკაში ათქმევინა ზანგ პოეტს **ლანგსტონ ხიუგს** ასეთი სასოწარკვეთილებით აღსავსე სიტყვები:

მე ვარ ზანგი,
შავი, როგორც ღამე,
შავი, როგორც ჩემი აფრიკის სიღრმეები.
მე ვიყავ მონა,
მე ვწმენდავდი კეისრის სასახლეებს,
მე ჩექმებს უწმენდდი ვაშინგტონს.
მე ვიყავ სახედარი,
ჩემი ხელები ქმნიდენ პირამიდებს,
და მე ვურევდი კირს მაღალსართულიან
სახლებისათვის.
მე ყოველთვის ვიყავი მსხვერპლი:
წინად ბელგიელები ხელებს მჭრიდენ კონგოში,
ახლა კი ლინჩის წესით მკლავენ ტეხასში.

მეფის მთავრობა ყოველი საშინაო თუ საგარეო გართულების დროს ებრაელთა დარბევას აწყობდა იმ მიზნით, რომ მასების ყურადღება აეცილებია პოლიტიკური საკითხებიდან. შეერთებულ შტატებში ეკონომიური კრიზისის გაძლიერებასთან დაკავშირებით ზანგების თვითგასამართლება მასიურ ხასიათს იღებს. უკანასკნელ წლებში ლინჩის წესით გაასამართლეს 4000-დე ზანგი, მათ შორის 100-დე ქალი.

ზანგების წინააღმდეგ ბრძოლა სენატორ ფიშის კოლეგებისათვის საარჩევნო პროგრამას წარმოადგენს. სენატორმა **კოულ ბლიზმა** (სამხრეთ - კაროლინა), ასეთი სიტყვებით მიმართა თავის ამომრჩევლებს:

„როცა მე გუბერნატორი ვიყავი, თქვენ არ გსმენიათ, რომ მე მილიცია გამომეწვიოს ზანგის დასაცავად. ჩემ სიტყვებში მე გეუბნებოდით თქვენ: როცა დაიჭერთ ველურს, რომელიც ძალადობას მიმართავს თეთრკანიან ქალის მიმართ, ნუ იჩქარებთ ჩემს გაფრთხილებაზე მეორე დილამდე“ — ე. ი. სანამ არ მოახდენთ თვითგასამართლებას.

ალაბამის გუბერნატორმა კი 300 დოლარი ჯილდო აღუთქვა იმას, ვინც ცოცხალს ან მკვდარს მიგვრის ზანგ რობერტსონის ოჯახის რომელიმე წევრს.

**ნ. რ—ძე**

# ექსპედიცია ნავით ფოთიდან ქუთაისამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონზე ქუთაისამდე ნაოსნობის განვითარების შესაძლებლობის, საზღვაო ძლეოსნობის გამოცდის და ქუთაისამდე ადგილმდებარეობის შესწავლის მიზნით 15 ივლისს, საღამოს 7 საათზე, ფოთიდან ქუთაისისაკენ გაცურდა ფოთის თავდაცვა-ავიაქიმის ექსპედიცია, ერთი ნავით 6 მეზღვაურის შემადგენლობით.

ექსპედიციის მუშაობა მით არის საინტერესო, რომ ფოთიდან ნავი ქუთაისისაკენ პირველად გაცურდა. გარდა ამისა ის ამუშავებდა საბჭოთა აღმშენებლობის რამოდენიმე საჭირო საკითხებს. მართალია, საექსპედიციო მოგზაურობისათვის ფოთი — ქუთაისი მოკლე მანძილია, დაახლოებით 275 კ.-მ., მაგრამ ექსპედიციას საქმე ჰქონდა: ძლიერ და საშიშ მდინარესთან, როგორიცაა რიონი. ფოთიდან სამტრედიამდე ექსპედიცია მისცურავდა 20 საშუალო საძოლო საათი. სამტრედიაში ექსპედიციამ ნავი მისცურავდა ქუთაისში. ექსპედიციის მგზავრობას დიდი სიხარულით და აღფრთოვანებით ხვდებოდენ სოფლის გლეხები, ქუთაისისა და სამტრედიის პროლეტარიატი. სამტრედიაში და ქუთაისში ექსპედიციას გაუმართეს დიდი მიტინგი, გარდა ამისა, თითქმის ყველა სოფლებში გლეხები საზეიმოდ ხვდებოდენ ექსპედიციის მონაწილეებს. გლეხები ეუბნებოდენ თავიანთ დაკვირვებებს, ექსპედიციის მონაწილენი ატარებდენ საუბრებს თავდაცვა - ავიაქიმის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ, ნაოსნობის განვითარების ამოცანებზე და სხვა საინტერესო საკითხებზე.

სამტრედიის ზევით საუბრის დროს ერთმა გლეხმა მისი მოსაზრებით შეუძლებლად სცნო ნაოსნობის გაგრძელება ქუთაისსა და ჭიათურას შორის. მეორე ჭაღარა გლეხმა უპასუხა: მართალია, ჩვენის აზრით ეს ძნელი საქმეა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი ისეთი გაგვიკეთა, რასაც ჩვენი გონება ვერ წარმოიდგენდა და ამასაც გააკეთებსო.

მაქსიმალურად გაადიდებენ ნაოსნობის განვითარების შესაძლებლობას.

შეიძლება თუ არა მდინარე რიონით ქუთაისამდე და ჭიათურამდე ნაოსნობის გაგრძელება. ექსპედიციის მოგზაურობამ ცხადჰყო, რომ ეს ტეხნიკურადა შესაძლებელია.

ამისათვის საჭიროა მივმართოთ ნაოსნობისათვის მდინარის დამორჩილების წესებს.

თუ მდინარეს ერთი კალაპოტი არ ექნა და ის ისევ დაქსაქსული იქნება ტოტებში ცალ-ცალკე, წყალის სიღრმე არ ეყოფა გემს ნორმალურ მსვლელობისათვის, ამიტომ, ტოტები უნდა გაერთიანდეს და მდინარეს უნდა მიეცეს ერთი მიმართება. ეს კი შეიძლება შემდეგნაირად:

1. უნდა გამოინახოს მთავარი ტოტი, და ნაპირები უნდა დაბეტონდეს სოფ. ბაშიდან ქუთაისი - ჭიათურამდე.



ექსპედიცია ფოთიდან ქუთაისამდე

ვაჰყო დღე ნახევარი. მოგზაურობის მთავარი სიძნელე ექსპედიციას შეხვდა ბაშიდან ქუთაისამდე, ვინაიდან რიონი იყოფა რამოდენიმე ტოტებად, რითაც წყალი ნაწილდება და თხელდება. გარდა ამისა, ძლიერდება წყლის დაქანება, რითაც წყალს ემატება სისწრაფე და სიძლიერე.

ბაშიდან ქუთაისამდე წყლის სისწრაფე უდრის საათში 7-დან 27 კ. მეტრს. რიონის სადგური ზღვის დონიდან ამაღლებულია 49,19 საჟენით, ქუთაისი კი 75,45 საჟენით: ნათელია, თუ ექსპედიციას რა წინააღმდეგობას გაუწევდა ასეთი დაქანების დროს რიონის ვიწრო კალაპოტში ჩქერები.

საერთო მოსაზრებით ქუთაისში ჩასვლისათვის საჭიროდ სთვლიდენ 20-32 დღეს; ექსპედიციამ ეს მანძილი გაიარა 6 დღის განმავლობაში, 23 ივნისს სრულ 6 საათზე

ნაოსნობა საბჭოთა ხელისუფლებამდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ბოლშევიკური გამბედაობით შესძლო ნაოსნობის მოწყობა ფოთიდან ორპირამდე, მაგრამ ჩემის აზრით ეს ნაოსნობის ხაზი პრობლემატიურია, ვინაიდან ის არ აერთიანებს მსხვილ სამრეწველო ცენტრებს.

აუცილებელია ნაოსნობის შეერთება მსხვილ სამრეწველო ცენტრთან — რიონით ფოთი-ქუთაისი და რიონი — მდ. ყვირილათი ჭიათურასთან. ეს ორი დიდი საწარმოო ცენტრები სრულიად უზრუნველყოფენ და

2. შლიუზების (მალქაფების), საგუბრების მოწყობით, — მდინარე დაგუბდება რამოდენიმე ადგილას.

3. სარეგულიაციო მუშაობით ეს წესი ყველაზე ხელსაყრელია. ამ წესით ეხლაც სწარმოებს მდინარის გაწმენდა. 2 თვის განმავლობაში 90 სანტ. სიღრმე გადიდდა 150 სანტიმეტრამდე. მეზღვაურების ენერგიული მუშაობა—ფოთიდან ქუთაისამდე ნავით მისვლა ამტკიცებს წითელი მეზღვაურების სულიერ და ფიზიკურ გაძლიერებას. ეს არის მნიშვნელოვანი მიღწევა საბჭოთა ფიზკულტურის დარგში.

ბოლშევიკური სიმტკიცე და ენერგია შესძლებს ქუთაისში და ჭიათურაში ააფრიალოს გემების ანძებიდან წითელი დროშა.

**ვასო პაჭკორია.**

# საქართველოს საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი

დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში დაარსდა სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით „საქართველოს საკოლმეურნეო მოძრავი თეატრი"—რეჟისორი —დავით კობახიძის ხელმძღვანელობით.

თეატრს თავისი პირველი მუშაობა უხდებოდა ტფილისში მეტად ცუდ პირობებში, მაგრამ ყოველგვარი სიძნელის გადალახვის შემდეგ მან შესძლო რეპერტუარის შემუშავება. თეატრმა პირველ საგასტროლო პიესად აირჩია: ს. შანშიაშვილის —„ყამირი" და გ. ტუღუშის „დღეობა". ორივე პიესა სრულიად ამართლებს თანამედროვე მაყურებლის მოთხოვნილებებს. პირველი—ყამირი—დრამა საკოლმეურნეო მოძრაობიდან, მოქმედება გადატანილია სოფლად— მეორე —დღეობა— კომედია ესეც საკოლმეურნეო მოძრაობიდან მხოლოდ მოქმედება ხდება ცენტრში—ტფილისში.

თეატრმა პირველი გასტროლები ჩაატარა აღმოსავლეთ საქართველოში. თელავში დასდგა სამი წარმოდგენა. ქ. თელავიდან თეატრი სამუშაოდ გაემართა წინანდალში, სადაც აუარებელი გლეხობა დაესწრო წარმოდგენებს. წინანდალიდან კი სრულიად მივარდნილ სოფელ აკურაში. აკურადან ნაფარეულში, ფშაველში, იყალთოში, ახმეტაში. დაბოლოს გურჯაანში, ველისციხეში, სიღნაღში, მაჩხაანში და სხვ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილებზე გლეხები როგორი ხალისით ხვდებოდენ წარმოდგენებს.

ხშირი იყო შემთხვევა თუნდაც იმ მივარდნილ სოფელ აკურაში, რომ მსმენელი გლეხები აქტიურ მონაწილედ ხდებოდენ პიესის მსვლელობის დროს. მსახიობის ყოველ გადამწყვეტ სიტყვას გლეხები ეხმაურებოდენ და ისროდენ რეპლიკებს: „ძირს ეგ კულაკი", „ეგ ბობოლა", „ყველა ვართ მომხრე კოლმეურნეობის" და სხვა. იყო შემ-



რეჟ. **დ. კობახიძე.**

—

თხვევები წარმოდგენებზე ხალხი დროშებით მოდიოდნენ. ყოველი წარმოდგენის დამთავრების შემდეგ საზოგადოების სახელით გამოსული ამხანაგები მიუდგომლად და აღფრთოვანებით აღნიშნავდენ მათ შეხედულებებს. ისინი სურვილს გამოსთქვამდენ, რომ უცვლელად მიეღოთ ყოველგვარი საჭირო მითითებანი თეატრისაგან, თავგამოდებით დაეცვათ კოლექტივები ბოროტთა ზეგავლენისაგან და სხვ.

საერთოდ საქართველოს საკოლმეურნეო თეატრის მოგზაურობა აღმოსავლეთ საქართველოში დადებითი შედეგით დამთავრდა. მრავალი დაბრკოლებების მიუხედავად —ის კმაყოფილია ასეთი ნაყოფიერი გამოხმაურებით.

თეატრს ყველა ადგილებიდან თან წამოღებული აქვს ადგ. ორგანიზაციებიდან შეხედულებები— თეატრზე, ცნობები, დახასიათებები, დამსწრეთა სტატისტიკური ციფრები— კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მოსახლეთა ოფიციალური ცნობით სულ დაესწრო:—7.700 კაცი.

1ა აგვისტოს თეატრი დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოდან ტფილისში, სადაც დარჩა 19 აგვისტომდე, რის შემდეგაც გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში გასტროლების კვლავ გასაგრძელებლად, სადაც დარჩება ერთ თვეს.

თეატრი შემოივლის გურიას, სამეგრელოს, იმერეთს, გორის ოლქს და დაბრუნდება ტფილისში მომავალ მუშაობის სამზადისისათვის.

თეატრი 15 სექტემბრიდან გადადის წლიურ ბიუჯეტზე.

---

# ჭიათურის თეატრი

1929-30 წლის სეზონის განმავლობაში ჭიათურის თეატრმა გამართა 60 წარმოდგენა. დაიდგა 8 პიესა, ალ. შანშიაშვილის — „ბრაზი" და „პროტექცია", ლავრენიევას — „რღვევა", ია ეკალაძის: — „ზეინკალი", გაბესკერიას — „ზღვაური", აფინოგენოვის — „მგლის ბილიკი", როსებას — „ორი ბიჭი". თეატრმა მოაწყო მოგზაურობა (მთელი შემადგენლობით 45 კაცი) ქ. თბილისში, ყოფილ სახალხო სახლის შენობაში, სადაც გამართა ათი წარმოდგენა. საშუალოდ თვითეულ წარმოდგენას ესწრებოდა 325 მაყურებელი.

ჭიათურის მუშა - მოსამსახურეებში დასმა დიდი სიყვარული მოიპოვა, დასს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა რეჟისორი **პ. ფრანგიშვილი.**

1929 - 30 წლის სეზონის ნაყოფიერ მუშაობის შედეგია ის, რომ წელს დასი მოწვეულია წლიურად, 1930-31 წელს. სეზონის წინასწარი მუშაობა დაიწყება 15 სექტემბერს.

**სურათზე:** „მგლის ბილიკი", აფინოგენოვის, „ბრაზი-ყამირი" — ალ. შანშიაშვილის, „ზღავური"—ვ. გაბესკერიასი. დადგმა — პავლე ფრანგიშვილის, მხატვარი — გ. აბაშიძე.



**„მგლის ბილიკი"**, აფინოგენოვის. დადგმა **პ. ფრანგიშვილის.**



**„ზღვაური"**, გაბესკირიასი. 1 მოქ. დადგმა **პ. ფრანგიშვილის.**



**„ბრაზი"**. ალ. შანშიაშვილის. 1 მოქ. დადგმა **პ. ფრანგიშვილის.**

# ერთი ექსპედიციის საიდუმლოება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდე არავის არ ახსოვდა ინჟენერ ანდრეს სახელი, სანამ საკავშირო დეპეშათა სააგენტომ ცნობა არ მოიტანა, რომ ნორვეგიის სამეცნიერო ექსპედიციამ ფრანც-იოსების მიწაზე აღმოაჩინა გვამი ინჟენერ ანდრესი და მისი ერთი თანამგზავრის, რომლებმაც ბევრი ხნით ადრე ამუნდსენამდე აეროსტატით სცადეს ჩრდილოეთი პოლიუსის აღმოჩენა და ჩრდილოეთის უცნობი უდაბნოების გამოკვლევა. ქვემოდ ჩვენ გავაცნობთ „დროშა"-ს მკითხველებს ამ არაჩვეულებრივად გაბედული ექსპედიციის მომზადებასდა მის გაფრენას პოლიუსისაკენ, რომლის შემდეგ 33-მა წელმა განვლო.

## უპსალში

ავგუსტ-სოლომონ ანდრე, პროვინციალურ მოხელის ერთად-ერთი ვაჟი, დაიბადა 1854 წელს უპსალში, შვეციის ძველ სატახტო ქალაქში, გოტიურ კოშკების და ჩრდილოეთ ევროპაში უძველესი უნივერსიტეტის ქალაქში. ამ უნივერსიტეტის ახალი შენობა მაშინ შენდებოდა, როცა ავგუსტი საგუბერნიო სკოლის დამთავრების შემდეგ ამაოდ ემუდარებოდა მამას მიეცა მისთვის სწავლის გაგრძელების საშუალება.

მოხუცი შეუდრეკელი იყო: „კმარა სისულელე. შედი სამსახურში მაგისტრატში"... მამის დამსახურების სამაგიეროდ იქ მზად იყვნენ „გაიბედნიერებიათ შვილიც. ლამაზი ხელი და მოკრძალება— აი ყველაფერი რასაც იქ მოითხოვდნენ.

მაგრამ დიდხანს ვერ გაუძლო თავის ჩინოვნიკურ სამსახურს ახალგაზრდა ანდრემ და იმის შემდეგ, რაც ის გამოეთხოვა არა მარტო მაგისტრატს, არამედ თავის მამასაც ნელა, მაგრამ შეუჩერებლად იზრდებოდა მისი გაჭირვება და სასოწარკვეთილება.

საზეინკლო სახელოსნოში, სადაც ის მოეწყო პრაქტიკანტად და სადაც ყველას აკვირვებდა თავისი ბრწყინვალე გამომგონებლობის ნიჭით და ტეხნიკური მოხერხებით, მას ცოტა ხელფასს აძლევდენ. ნაცნობები და მეგობრები გაიფანტნენ როგორც კვამლი. არავის არ სურდა ნაცნობობა ურჩ შვილთან. მასთან შეხვედრის დროს პატივცემული და ხანში შესული მოქალაქეები ჩუმად აქნევდენ თავს, ახალგაზრდა და გულთბილი ქალიშვილები კი შეშინებული უყურებდენ ავგუსტის შავ ფისში ამოსვრილ თითებს და მწუხარებით იგონებდენ იმ დღეებს, როცა ისინი იმედით შესცქეროდნენ ყმაწვილს.

ახლოვდებოდა მოულოდნელი მოვლენები, მოულოდნელი და უცნაური იყო ანდრეს ბედნიერება. მოკვდა მამა. დასტოვა გროშები, შეგროვილი სიღატაკეში და ჩუმად, რომლებიც ბანკში ნახევარს საუკუნის განმავლობაში ათას კრონზე მეტად გაიზარდა.

ანდრეს ხელები ეხლა დასვრილი იყო შელანში და ცარცში. მთელ საღამოებს ატარებდა ის მოდელების დამზადებაში, ნახაზების და ფორმულების შედგენაში. მაგრამ ახოვრება ულიმოდა მას, ულიმოდა თვით მახინჯი და თუჯის ვუსტავ ვაზა მავზოლეისთან, სადაც შუბებით და ბოთლებით ებრძოდნენ ერთმანეთს კორპორანტები, სადაც შეყვარებულები იძებდენ მოფარებულ ადგილს და სადაც **სვანტე არენიუსი** ფიქრობდა სამყაროს სიდიადეზე.

## სტოკჰოლმი

აქ ჩვენ რამდენიმე წლით ვკარგავთ ავგუსტ ანდრეს ცხოვრების ძაფს. იგი არის ინჟენერი, მექანიკისა და მათემატიკურ მეცნიერებათა მაგისტრი და უპსალში მისი კვალი იკარგება. სტოკჰოლმში, სატახტო ქალაქში, რომელიც სახელგანთქმული იყო თავის კათეთი ეპისკოპოსიდაზე, არქიეპისკოპოზ-პრიმასით, რაისტაგით და მეფე ოსკარით, რომელმაც შექმნა წმინდა ჯიშის დოგების მოსაშენებელი, ჩვენ კვლავ ვხდებით ავგუსტ ანდრეს საუნივერსიტ. ზოიმზე-ერიკ ნორდენშელდის შეხვედრაზე მისი სახელოვანი მოგზაურობის შემდეგ ყინულების ოკეანეში. ნორდენშელდი უკვე მოხუცია. გრენლანდიის ყინულიანმა ჰაერმა დასწვა მას სახე. დრომ შეარცხლა მისი თავი, მაგრამ მოხუცის ხმა კვლავ მჭიქარი და ცოცხალია. ნორდენშელდი ლაპარაკობს გრენლანდიაზე, ყინულოვან პლატოზე, მოგზაურობის კატორღულ, წარმოუდგენელ სიძნელეზე. ორი კვირის განმავლობაში მან გაიარა 70 კილომეტრი. კიდევ სამი კვირის შემდეგ—100 კილომეტრი. ჩრდილოეთ დასავლეთ გრენლანდიის მთებმა გადაუღობა მას გზა. ორი კაცი და 10 ძაღლი, დაუძლურებული მოკვდა გზაში.

ანდრე ხევდა ბლოკნოტის ფურცლებს და ანგარიშობდა ნორდენშელდის მოგზაურობის „სისწრაფეს": მეოთხედი კილომეტრი საათში საშინელი ციფრია... ემანუელ ნობელი, ინჟენერი და მეცენატი, ნავთის მრეწველთა დინასტიის წინაპარი, ხავერდის საპატიო სავარძელში, იქვე გვერდით სულ სხვა რამეს ანგარიშობდა. დათვის კუნძულზე ნორდენშელდი წააწყდა ქვა-ნახშირს. არის საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ გრენლანდიის დიდ პლატოს ჩრდილოეთში იმალება ბრწყინვალე მადნეულობა და ვერცხლის კა-

მოედგინათ რაშია საქმე! სოლომონ ანდრემ ხელი მოჰკიდა ავიაციას. ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიამოვნებით აღნიშნეს პატენტების სახელმწიფო ბიუროს სიებში ბატონი ინჟენერი, რომლის ნიჭი დადასტურებული იყო თვით უპსალის უნივერსიტეტის კონფერენციის მიერ. მაგრამ ამ ინჟენერის დაურდგომლობა მაინც არის ღირსი, რომ აღნიშნულ იქნას უფროსების განსაკუთრებულ ბრძანებაში. რა გაეწყობა!

ანდრე მართლაც პატენტების ბიუროს იშვიათი სტუმარი იყო. 1885 წელში ბიოგრაფი მას ნახავდა პარიზში, რენარისა და კრებსის სახელოსნოში, სადაც სახელგანთქმულ აერონავტების ხელმძღვანელობით ახდენდა ცდებს აეროსტატებზე და თითქმის ყოველ კვირეში აწყობდა გაფრენას; 1886 და 1877 წელს



**1) აეროსტატი „ორიოლი", 2) ავგუსტ ანდ რე, 3) ვილ სტრინდბერგი, 4) ინჟ. ფრენკელი, აეროსტატ. მშენ. ანრი ლაშამბრი, 5) ტრომსეს ნავთსადგური.**

ლამი ადგენს ტონების, ფრახტის, ბაჟების და ბრჭყიალა ოქროების გრძელ სვეტებს. დასკვნა მარტივია: აქ ღირს „მეცენატობა". და ჩრდილოეთის პოლიუსიც, ჯანდაბას მისი თავი, არც ისე რომანტიული რამე არის...

მაგრამ ერთი მეოთხედი კილომეტრი საათში!

თეთრ სვეტებიან დარბაზის მეორე კუთხეში ანდრეს ტვინი მუშაობს უფრო გამალებით და სწრაფად. „ეჭვს გარეშეა, რომ ადამიანს ყოველთვის მოელის დამღუპველი და უნაყოფო წვალება, სანამ პოლიუსისაკენ მისწრაფების დროს მუხლამდე თოვლში უხდება გავლა და იყინება ყინულებში, სანამ ის არ ასცილდება ყინულებსა და თოვლს, სანამ არ გადაცურდება მათზე, როგორც ფრინველი ჰაერში: სწრაფი და ამავე დროს მოხერხებული გზა!"

იმავე საღამოს, 1883 წლის 20 ოქტომბერს, ნორდენშელდის სიტყვების სპილენძისებურ გუგუნში, ლიუსტრების ბრჭყვიალში და ორკესტრის ჰანგებში იშვა ნანატრი გეგმა.

## გეგმა

გეგმა მზად იყო და ნათელი საერთოდ, მაგრამ მასზე საჭირო იყო დუმილი. ფართე და ბუნდოვანი მოსაზრებები, გაურკვეველი ფანტაზია და ნაჩქარევი ენტუზიაზმი—კარგი შუამავლებია პერპეტუმ მობილეს ავტორებისათვის, მაგარამ არ ვარგა მეცნიერების ხალხისათვის.

შეეძლოთ თუ არა თანამედროვეებს წარ-

—[illegible] ტრომსეში, ყრუ და გაყინულ ჩრდილოეთში პოლიარულ წრეს იქით, სადაც მეტეოროლოგიურ ობსერვატორიაში ისწავლიდა რუკებს და დაკვირვებებს პოლიარული რაიონის ქარებზე და აჰვაზე. 1890 წელს მას მიწერ-მოწერა აქვს **ბუასეისთან** და **ლენესთან**, ფრანგ გამომგონებლებთან, რომლებიც ცნობილი არიან დირიჟაბლის განუხორციელებელი პროექტით. 1891—1893 წლებში ანდრე უთანხმდება სამხედრო სამინისტროს და შვეციაში აწყობს ფრენოსნობის საქმეს.

დრო მიდის. 1894 წლის ზამთარში ბალტიის ზღვაზე, გაყინულ ბოტნიის ყინულებზე ანდრე თავის თანამოსამსახურე და კოლეგასთან პროფესორ ეკხოლმთან ერთად აეროსტატით აწყობს პირველ ხანგრძლივ გაფრენას. აეროსტატის მოწყობილობა, აერონავტების ცდები, მთელი გაფრენა უცნაური და გაუგებარია ჟურნალისტებისათვის, მაგრამ ყველაფერი ჩქარა ირკვევა. ახალ წელიწადს, ლონდონში, ინჟენერი ანდრე მთელი მსოფლიოს წინაშე ააშკარავებს თავის გეგმებს. ერთი კვირის შემდეგ, ჩაკეტილი თავის ოთახში, მესამე სართულზე, სტოკჰოლმში, ანდრე მორცხვად და სიხარულით კითხულობს გაზეთების ცნობებს.

ექსპედიციის გეგმა განსაცვიფრებლად მარტივი იყო. მარშრუტი: პირდაპირი ხაზი—შპიცბერგენი—პოლიუსი — ბერინგის სრუტე.

აფრენა განზრახული იყო შპიცბერგენი-

დან. ანდრე აპირობდა აეროსტატის მომზადებას, დაცდას წყნარი ქარებისათვის, რომლებიც ზაფხულის თვეებში რეგულიარულად ქრიან ჩრდილოეთისაკენ და ორასი მეტრის სიმაღლეზე, ზომიერი სისწრაფით, გაფრენას პოლიუსისაკენ. 1200 კილომეტრი ასეთ პირობებში გავლილი იქნებოდა ორი დღე-ღამის განმავლობაში. შემდეგი—2.000 კილომეტრი — ამერიკამდე—4 დღეში. აეროსტატს მოეპოებოდა 30 დღის განმავლობაში საყოფი გაზი. ამრიგად ექსპედიციას „მარაგად": ქარის უქონლობის, მიმართულების შეცვლის, გრენლანდიის ან ციმბირის უდაბურ ტუნდრებში ან კანადის არქიპელაგში მოხვედრის შემთხვევისათვის რჩებოდა 24 დღე.

აეროსტატზე 4 ათას კუბიკურ მეტრ საწვავ გაზის გვერდით ანთებული იქნებოდა სპირტის ფეჩი, ექსპედიციის წევრებისათვის სადილის დასამზადებლად. იდეა, რომლის უგუნურობა ხათელია ყოველი მოწაფისათვის!.. მაგრამ ნუ იჩქარებთ დასკვნებით! ანდრეს ფეჩი სანამ აინთებოდა, სანამ შესწავდა პოლიარულ ბიფშტეკსს, სპეციალური თოკით ეშვებოდა 10 მეტრით აეროსტატის კალათს დაბლა. სამზარეულო ელასტიური მილით იყო შეერთებული კალათთან. მილის შიგნით მოთავსებული იყო წვრილი თოკი. ამ თოკის მოწევა საკმაო იყო რომ წუმწუმა თავისით ანთებულიყო და აენთო ფეჩიც. როცა საჭმელი მზად იქნებოდა, შეუბერავდენ მილში და ფეჩი ქრებოდა.

აი ეს მოხერხებულად დამუშავებული ყოველი წვრილმანი, გონებამახვილობისა და მოხერხების ეს დაუშრეტელი წყარო, გამოყენებული ჩვენის ეხლანდელი თვალსაზრისით აშკარად გულუბრყვილო და გამოუსადეგარ ტეხნიკურ მასალისადმი, გვაიძულებს ქუდი მოვიხადოთ ინჟენერ ანდრეს დავიწყებულ გენიის წინაშე. ლაპარაკი ზედმეტია, ადვილია მასხარად აგდება სასაცილო სამზარეულოსი, თვით ასანთები წუმწუმასი და ისლქანის, რომელიც აეროსტატს მიაქანებს, სადაც მფრინავი მოისურვებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიუსზე გაფრენის ამოცანას ანდრე პრაქტიკულად წყვიტდა თავის ეპოქის ტეხნიკურ სტილთან შეფარდებით, იმ ეპოქის შესაძლებლობათა საზღვრამდი მიახლოვებით, შეიარაღებული მაშინდელი საავიაციო ტეხნიკის მართლა „უკანასკნელი სიტყვით". მაშინ არავის არ ჩაუთვლია ძისი იდეა უგუნურად (ეს უბადრუკი ეპიტეტი დიდ ადამიანს შემდეგ მიაკერის ენციკლოპედიებმა და „წიგნებმა ახალგაზრდობისათვის"). არავის არ გაუცინია კოლოფზე და წუმწუმაზე. პირიქით, ყველა აღიარებდა გეგმის სერიოზულობას და იშვიათად ზედმიწევნით დამუშავებას. კაპიტალისტებმა არ იკრიჟანგეს ამ საქმის დახმარებაზე, რომლიდახაც ისინი მოგებას მოელოდენ: **ემანუილ ნობელმა** და ბარონმა **დიკსონმა** ექსპედიციას ფულები მისცეს. **ერიკ ნორდენშელდმა** დალოცა ახალგაზრდა თანამებრძოლი და ენტუზიაზმით გატაცებულმა ანდრეს თანამგზავრობა მოინდომა. ხათესავეასა და ნაცნობებმა ძლივს ათქმევინეს მოეხცა უარი. მეფე ოსკარმა ერთი წუთით დატოვა თავის ძაღლები და თანამემამულეს აღუთქვა „ყოველგვარი დახმარება". ახალგაზრდა ყმაწვილები მსოფლიოს ყველა კუთხიდან, თავგადასავალს მოწყურებულნი, დაუსრულებლივ აცნობებდენ ანდრეს მასთან ფრენის სურვილს, სანამ მან გაზეთში არ გამოაცხადა, რომ თან მიჰყავს მხოლოდ ძველი მეგობრები და მასწავლებელი პროფესორი **ეკხოლმი** და ფიზიკოსი **ნილს სტრინბერგი**. 1896 წლის იანვარში აეროსტატის ნახაზები მზად იყო და გადაეცა ანრი ლაშამბრისა და კომპ. ფირმას პარიზში.

იმავე წლის ივნისისათვის დანიშნული იყო გაფრენა.

## ოკეანეში

1896 წლის 4 ივნისს ხომალდი „ვირგო", დაქირავებული ანდრეს ექსპედიციისათვის ბარონ დიკსონის მიერ ტრომსეს ნავთსადგურში გასასვლელად ემზადებოდა. ამწევმა კრანმა ფრთხილად და ლამაზად აიტანა ჰაერში რბილი, ბრეზენტში გახვეული გარსი ისტორიულ ჰაეროსტატისა. ანდრე ედავებოდა კაპიტანს, რომელიც ვერ ბედავდა ასეთ ძლიერ ქარში გასვლას. ეს ქარი ხსნა იყო ანდრესათვის: მას შეეძლო ჰაეროსტატი წაელო მიმზიდველ და შორეულ მიზნისაკენ.

სტოკჰოლმიდან ჩამოსული კორესპონდენტები იყინებოდენ და კანკალებდენ, სწყევლიდენ პოლიარულ წრეს, გაცილებას, აეროსტატს მისი პილოტით და პოლიუსს მისი ძაღლური სიცივით. ანდრემ დაამშვიდა ისინი ინტერვიუთი, რომელიც თავდებოდა შემდეგი სიტყვებით:

„აეროსტატით არკტიკაზე გადაფრენის ამოცანა—წმინდა ტეხნიკური ხასიათის ამოცანაა და მე იმედი მაქვს, რომ ეს ამოცანა გადავსჭერი".

საღამოთი, როცა ხომალდზე დატვირთეს უკანასკნელი ბალონები გაზებით, კაპიტანმა სიხარულით სთქვა: „ქარი ჩადგა, ჩვენ ტყვილად ვედავებოდით ერთმანეთს. მე ბრძანებას გავსცემ ეხლა გავუდგეთ გზას. ანდრემ სწრაფად და გადაჭრით გასცა ბრძანება: „ხომალდზე!" „მაგრამ სად არის ჩვენი პროფესორი ეკხოლმი, რომელიც ყოველთვის იგვიანებს?" სტრინბერგმა, რომელიც გაიყურებოდა ჩამოწოლილ სიბნელეში, გაიგონა ცხენების მოახლოვება და სთქვა: „აი ისიც გამოდის ფიაკრიდან".

## კიბეები აილეს
### ნილს სტრინბერგის წერილი ფერკენ ელგა №-ს

„ჩემო ძვირფასო. 14 ივნისს, როგორც შენ იცი, ჩვენ მშვიდობით მივედით დანიის კუნძულზე. ახლა 19 ივლისია. ქარი კი არ არის. ავგუსტი გარეგნულად დამშვიდებულია, მაგრამ აშკარაა, რომ მას აწვალებს მოუთმენლობა, თუმცა ცდილობს ჩვენ ეს არ დაგვანახვოს. ფარდული აეროსტატისათვის დიდი ხანია აგებულია და გუშინ ჩვენ მოვაწყვეთ მისი ზედა ნაწილის დაშლის რეპეტიცია. შენ იცი, რომ იმ მომენტში, როცა დაქროლავს ხელსაყრელი ქარი, ჩვენ გავავსებთ სფეროს, რომლის გარსი უკვე მომზადებულია ფარდულის იატაკზე, დავშლით ჭერს და გავფრინდებით"...

**ნილსი".**

„P. S. თუ ერთი კვირის შემდეგ ქარი არ შეიცვალა, ანდრეს სურს გასწიროს წყალბადის ნაწილი და მოაწყოს საცდელი გაფრენა"

***

საცდელი გაფრენა მოეწყო 1-ლ აგვისტოს, ქარი თითქმის სრულიად არ ქროდა: გამოირკვა შემდეგი: ლაშამბრის ფირმამ, პარიზში, თვითნებურად შესწორებები შეიტანა ნახაზებში და აეროსტატის აბრეშუმის კედლები სქელი გააკეთა. აეროსტატის ამწევი ძალა არასაკმაო აღმოჩნდა. საჭირო იყო მისი მოცულობის გადიდება. იმავე საღამოს ანდრემ გასცა ბრძანება „ვირგის" უკან გაბრუნების შესახებ. ტრომსეს ნავთსადგურის კაპიტანს, რომელიც მას შეხვდა, ანდრემ უთხრა:

— ქარის უქონლობამ და ლაშამბრის ფირმის შეცდომამ ხელი შეუშალა ჩემს გაფრენას. გარდა ამისა მე ჯერ კიდევ საკმაოდ არ შემისწავლია ტუნგუსთა ენა, რომელზედაც ლაპარაკობს ჩრდილოეთ ციმბირის ხალხების უმრავლესობა.

გაფრენა ერთი წლით გადაიდო.

## ქალაქი გეტებორგი

1897 წლის 18 მაისს შვეციის სამხედრო ფლოტის გემზე „სვენკსზუნდ", რომელიც იდგა გეტებორგის რეიდზე და დათმობილი ჰქონდა ანდრეს ექსპედიციას, ყველაფერი მზად იყო გამგზავრებისათვის. ანდრე ბედნიერი იყო, მაგრამ უფრო ბედნიერად გრძნობდენ თავს პატრონები გეტებორგის სასტუმროების, რომლებიც გაჭედილი იყო „სატახტო ქალაქის საზოგადოების" მრავალი წარმომადგენლებით. ნაპირი ხმაურობდა და გუგუნებდა. ანდრე დავიწყებული ყველას მიერ. ანდრე, რომელმაც თვითონ ყველა დაივიწყა, დასეირნობდა მისაბმელ ბოძებს შუა, სუნთქავდა ფისისა და მარილის სურნელებას. ის იყო მარტო, მარტო მთელი ცხოვრების განმავლობაში. 42 წელიწადი, როგორც ნისლი დატოვა უკან, მაგრამ ის ამაზე არ ფიქრობდა. ეხლა მისი აზრი ტრიალებდა თანამგზავრების გარშემო, მათ გარშემო ვინც მასთან ერთად მზად იყო გაეზიარებია უცნობი მომავალი. პროფესორი ეკხოლმი ავად იყო. საშინელ ციებას შეეპყრო ის და უპსალში დარჩა. უბადლო ამხანაგი ... ლილი იქო ექსპედიციის სიებიდან. ახალი თანამგზავრი ინჟენერი **იალმარ ფრენკელი**, ახალგაზრდა და მისთვის სრულიად უცნობი ადამიანი, მას ურჩია ნორდენშელდმა...

გაცილება და ზეიმი აბრაზებდა ანდრეს... სწრაფი ნაბიჯებით ჩავიდა ანდრე კიბეზე მას გაჰყვენ **სტრინბერგი, ფრენკელი** და **სვენ დენბორგი.**

## „ეოლი და ბორეი"

25 მაისს ანდრემ დანიის კუნძულზე სრულიად ხელუხლებელი და შენახული ნახა წინა წელში აგებული ანგარი. მისი შიში, რომ შესაძლოა საჭირო გამხდარიყო ამ ხის ფარდულის დანგრევა და გაფართოება, უსაფუძვლო აღმოჩნდა. შარშანდელმა გამოცდილებამ აიძულა ლაშამბრის ფირმა სფერო!, მოცულობა 4.500 კუბიკური მეტრიდან 4.800-მდე გაედიდებია. გაბერილი საშინელება შესაძლოა არ შეტეულიყო თავის ძველ ბალიაში. გაზომვამ გააქარწყლა ეს შიში.

სამაგიეროთ... ძლიერი და შაღალი ტალღები მოგორავდენ ნაპირისაკენ ივნისის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, მაგრამ ეს არახელსაყრელი ქარი მაინც უკეთესი იყო, ვიდრე შარშანდელი სიწყნარე. მეტეოროლოგიური დაკვირვებები საფუძველს აძლევდა ექსპედიციას ეფიქრა, რომ ირეგულიარული ციკლონით გამოწვეული ქარი ჩქარა ჩადგება და ადგილს დაუთმობს გაცივებულ ჰაერის დენას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

25 ივნისს, სწორედ ერთი თვის შემდეგ „სვენკზუნდის" მოსვლის დღიდან კუნძულზე, კვლავ არაფერი შეცვლილა. **სტრინდბერგი,** რომელსაც წერილები ვერ მიეღო საცოლესაგან, ნერვიულობდა. **ფრენკელი** და **სვედენბორგი** მთელი დღეების განმავლობაში ბანქოს თამაშობდენ. თითქოს ყველამ დაივიწყა, თუ რათ მოვიდენ აქ, თუ რათ ჩაუშვეს ღუზა ტყვიასავით წყალში, მკრთალ ღრუბლების ხავერდივით ცაფარულ ცისქვეშ, რად გამოვიდენ სიკვდილისა და ყინულების ოკეანეს ნაპირზე, რად დადიოდენ დაგრეხილ, მაისის მზის ქვეშაც დაუნდობ ნიადაგზე. მხოლოდ ერთ კაცს არ დავიწყებოდა ეს და არც შეეძლო დაევიწყებია... დღეები მიდიოდა. ზაფხული იწურებოდა; ანდრე ხედავდა, თუ როგორ ალმაცერად უყურებდენ მას ზურგს უკან სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანები, რომლებმაც დაიჯერეს მისი საქმე. ის ხედავდა, თუ როგორი თავაზიანობით ოდნავ ცაფაოული ღიმილი კრთოდა მათ ტუჩებზე... დანიის სამინისტროს მოხელე, ბელატი და წელში მოხრილი, გაჟღენთილი ნაფტალინით, მოდიოდა ჯაჭვზე მიბმულ ბებერ ძაღლის თანხლებით და ესალმებოდა ანდრეს ერთი და იგივე ფრაზით. „ეოლმა და ბორეიმ პირი შესთქვეს არ დაგიშვან თქვენ, ბატონო ანდრე, თავის მღელვარე სამეფოში..." მის ამ „ჭკუამახვილობას" უდიოდა სემინარიული ლათინურ ენის მაგარი სუნი. ანდრე თავს იკავებდა; ბელატი თავის ქალა იხრებოდა გამოთხოვების დროს და ანდრეს უსურვებდა „ბედნიერ მგზავრობას". ჩამქრალ თვალებში ანდრე ნათლად კითხულობდა შემდეგ აზრს: „ჯიუტო და საშიშო გიჟო, შენ თავისი ლაყბობით შესძელ მთელი სახელმწიფოს გადაბრუნება. შენ დაარღვიე მთელი მსოფლიოს სიმშვიდე, მაგრამ დაიცადე, გამოირკვევა შენი ბოდვა და შენ შენი თანამგზავრებით, როგორც ტაკიმასხარებს, საგიჟეში მოგათავსებენ..."

**ვლ. ბერინგი.**

(„გ. მ." 1928 წ. № 2.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიზკულტურა და სპორტი

## ფიზკულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა

იმ დროს, როდესაც გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ მშენებლობა ყველა დარგებში, ფიზკულტურა და ფიზკულტურული მშენებლობა საქართველოში ძალზე ჩამორჩენილია. ეს აიხსნება იმით, რომ ფიზიკური კულტურის როლი და მნიშვნელობა დღემდე არ არის სათანადოთ გათვალისწინებული. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბად, მდგომარეობს იმაში, რომ ფიზკულტურა ეფექტს იძლევა მხოლოდ ხუთი—ათი წლის გამუდმებული შრომის შემდეგ. ფიზიკური კულტურის განვითარების აუცილებელი შედეგია მუშის შრომის ნაყოფიერების გადიდება, ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და სხვ.; დიდია ფიზკულტურის გავლენა ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის მხრივაც.

საქ. ჯანსახკომის ცნობებით, სკოლის ჰასაკამდე და სასკოლო ჰასაკის ბავშთა უპირავლესობა (80 პროც.) დაავადებულია ტუბერკულიოზის საბავშო ფორმით; საექიმო ექსპედიციებს დასავლეთ საქართველოში და კახეთში არა ერთხელ დაუდასტურებიათ მოსახლეობის თითქმის 100 პროც. დაავადება მალარიით. ყოფ. სიღნაღის, თელავის მაზრების, ქუთაისის და გორის ოლქების ჯარში გაწვევის ჰასაკამდე ახალგაზრდობის საექიმო შემოწმებამ, რომელიც ჩაატარეს საქ. ჯანსახკომმა და სამხედრო უწყებამ, გამოარკვია, რომ აღნიშნულ რაიონების სოფლის ახალგაზრდობა დაავადებულია ფილტვების სისუსტით. აფხაზეთში, სამეგრელოში და სვანეთში გაგზავნილი ექსპედიციებიც ადასტურებენ, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ახალგაზრდობის ორგანიზმის გასამაგრებლად ბავშობიდანვე.

ფიზკულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო თვალსაზრისითაც. რაც უფრო განვითარებულია ფიზკულტურა, მით უფრო მტკიცე ქვეყნის თავდაცვა, რადგან ფიზკულტურელები ერთგვარ მარქაფს წარმოადგენენ ჩვენი წითელი არმიისათვის. ცნობილია, რომ ფიზკულტურა თანდათან მეტ ადგილს იჭერს წითელი მებრძოლის სამხედრო მომზადების პროგრამაში. თუ ფიზკულტურა სწორ ნიადაგზე იქნება დაყენებული და სოფლის და ქალაქის ახალგაზრდობა ჩაებმება ფიზიკური მომზადების საქმეში, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს წითელ ჯარში სამსახურის ვადის შემცირებას, რადგან არჩია ფიზკულტურას მხრივ სავსებით მომზადებულ და გაწვრთნილ ახალგაზრდობას მიიღებს.

ეს მშვენივრად აქვთ გათვალისწინებული ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, სადაც სპორტს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. მაგალითად, ჩეხია-მოლდავიის ომის დროს 1920 წელში ჩეხიაში ჩატარებულ იქნა ფიზკულტურელთა საერთო მობილიზაცია. 24 საათის განმავლობაში ფეხზე დადგა 36.000 ფიზკულტურელი, რომლებიც სასწრაფოდ გადასროლილი იქნენ ფრონტზე. ეს ნათლად მოწმობს, თუ როგორი მარქაფი ჰყავს ფიზკულტურელთა სახით ბურჟუაზიულ არმიებს.

დაბოლოს, დიდია ფიზკულტურის როლი წარმოებაშიაც. რაც უფრო ჯანსაღია მუშა, მით უფრო დიდია მისი შრომის ნაყოფიერება, სიჯანსაღეს კი ხელს უწყობს ფიზიკური კულტურა. საქართველოს ფაბრიკა- ქარხნების გამოკვლევის მასალებიდან სჩანს, რომ ფიზკულტურელ მუშების შრომის ნაყოფიერება თუ სხვა მუშებზე გაცილებით დიდი არ არის, ყოველ შემთხვევაში ფიზკულტურელები პირველ რიგებში მაინც სდგანან. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში და დეპოში ყველა ფიზკულტურელი მუშები დამკვრელები არიან, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში ფიზკულტურელების ბრიგადამ თვითღირებულება შეამცირა 35 პროც., მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში და ჭიათურის მაღაროებში შრომის რეკორდსმენებათ იგივე ფიზკულტურელები არიან; ფიზკულტურულების გამომუშავება სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში მეტია, ვიდრე არაფიზკულტურელების. თამბაქოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშა-ქალების ჯანმრთელობის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ფიზკულტურელი ქალები უფრო დაცული არიან წარმოების მავნე გავლენისაგან. ამან აიძულა პროფესიონალურ სნეულებათა ინსტიტუტი წამოეყენებია საკითხი იმის შესახებ, რომ ფიზკულტურა სავალდებულო წესით ყოფილიყო შემოღებული თამბაქოს მრეწველობაში.

ყველა ზემოჩამოთვლილიდან ცხადია ფიზკულტ. როლი მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურული მშენებლობის მხრივ საქართველო საგრძნობლად ჩამორჩება მეზობელ რესპუბლიკებს. თავი რომ დავანებოთ ისეთ ...ვილ სამრეწველო ცენტრებს, როგორიც არის მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, ბაქო და სხვები თბილისი ჩამორჩება ისეთ პატარა ქალაქებსაც, როგორიც არის, მაგალითად, ბრიანსკი და იაროსლავლი. იმ დროს, როდესაც თბილისს არ აქვს არც ერთი მოწყობილი სტადიონი, ბრიანსკს და იაროსლავლს ორ-ორი სტადიონი აქვთ. თბილისში ასი ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სასპორტო მოედანი, მაშინ, როდესაც ლენინგრადში ამდენივე მცხოვრებზე 62 მოედანი მოდის.



ფიზკულტურელი ქალები



რბენის ფინიში

საქართველოში ფიზკულტურული მშენებლობის დარგში თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული. პირიქით, ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა ფიზკულტურელებს ართმევდენ დარბაზებს (ქუთაისი, ფოთი, სენაკი, თბილისი) სხვა მიზნებისათვის.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოუღოს ფიზკულტურული მშენებლობის ხუთწლიანმა გეგმამ, რომელიც ამას წინად დაამტკიცა საქ. საგეგმო კომისიამ.

ამ გეგმის თანახმად, ხუთი წლის ბოლოსთვის ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდა ნავარაუდევია 780.215 კაცამდე. ფიზკულტურელთა რიცხვის ზრდა უნდა მოხდეს როგორც ახალგაზრდობის, ისე მოზრდილი მუშების ხარჯზე. სულ ყველა ორგანიზაციების ხაზით (პროფკავშირები, „დინამო“, ალმასკომები, საკურორტო სამმართველო, განათლების კომისარიატი და სხვ.) ფიზკულტურულ მშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში უნდა დაიხარჯოს 12.877.397 მანეთი. გეგმა ითვალისწინებს პროფკავშირების დიდი სტადიონის დამთავრებას ვაკეში, ერთი დიდი სტადიონის აგებას თბილისში „დინამო“-ს ხაზით და მთელ რიგ დარბაზების, წყლის სადგურების, მოედნების და სხვ. მოწყობას თბილისსა და პროვინციაში; ვაკეს სტადიონთან მოეწყობა დიდი აუზი, 4 სასპორტო დარბაზი, ველოდრომი, ტირი, დასასვენებელი ოთახები ფიზკულტურელებისათვის და სხვ. სტადიონის აგება დაჯდება 1.300.000 მანეთი.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე საჭირო კადრების მომზადება (ხელმძღვანელები, ექიმები, ინსტრუქტორები და სხვ.) და ფიზკულტურული ორგანიზაციების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. კადრების მოსამზადებლად გაიხსნება კურსები, ამას გარდა თბილისში არსდება სპეციალური ტეხნიკუმი.

ლანდა.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა





ბათომის ნავთ-სადგურში მოვიდა საბჭოთა იალქნიანი გემი „ამხანაგი“, რომელზედაც სწავლობენ საზღვაო საქმეს 175 ახალგაზრდა—მომავალი შტურმანები. მოსწავლეთა შორის 25 ქალია. სურათზე: მარცხნივ—„ამხანაგი“-ს კომანდა დასვენების დროს; მარჯვნივ—სწავლობენ კომპასს.



ფიზკულტურელთა შეჯიბრება ნავებზე და გასამხედროებულ ცურვაში (ბათომი)



წალვერის პანსიონატის დარაჯი დავით ლურსმანაშვილი და მისი ცოლი, ამავე პანსიონატის დამლაგებელი, შუშანა, რომელთაც ჰყავთ 22 შვილი. მიუხედავად იმისა, რომ ქალი ეხლა უკვე 54 წლისაა, მას მიმდინარე წლის ივლისში მუცელი მოეშალა მე-23 შვილზე.




კავშირების სახლის შენობა მოსკოვში სადაც მიმდინარეობდა პროფინტერნის მეხუთე კონგრესი



წყლის სპორტი ბათომში

საგაზეთო გამომცემლობის სტამბა „კოლექტივი“ მთავლიტი 1898 ტირაჟი 6750

# ქრონიკა სურათებში



## ანტიფაშისტური დღე

6 ივლისს, ჰამბურგში (გერმანია) მოეწყო ანტიფაშისტური დღე, რომელსაც კომკავშირი ხელმძღვანელობდა. მუშა-ახალგაზრდობა ცოცხლად გამოეხმაურა კომკავშირის მოწოდებას და აქტიური მონაწილეობა მიიღო მუშების მობილიზაციაში გათავხედებული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 3.000-ზე მეტი მუშა-ახალგაზრდა.

**სურათზე**—სოციალ-ფაშისტ პრეზიდენტის **ვენტკერის** პოლიციელები აპატიმრებენ დემონსტრანტებს.



## ნიადაგმცოდნეობის მეორე საერთაშორისო კონგრესი

20 ივლისს, ლენინგრადში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საკონფერენციო დარბაზში გაიხსნა ნიადაგმცოდნეობის მეორე საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესს ესწრებოდნენ ევროპისა და ამერიკის ნიადაგმცოდნეები.

**სურათზე**—კონგრესის პრეზიდიუმი: მარჯვნიდან მარცხნივ—**აზო** (იაპონია), **ლემერმანი** (გერმანია), **სამოილოვიჩი**, თავმჯდომარე (საბჭოთა კავშირი), **ხისინგი** (ჰოლანდია), **ვაგნერი** (შვეიცარია).



## იქ, სადაც პოლიციის ტერორი სუფევს

ამას წინად, ნიუ-იორკის ლათინურუბანში კომპარტიის ხელმძღვანელობით მიტინგი მოეწყო. პოლიციელები შეეცადნენ მუშების შეპყრობას დაჯოხებით სცემეს მათ. მექსიკანელმაკომუნისტმა **გონზალესმა** ხელი დაავლო ჯოხს, რომ ამით შეეჩერებინა პოლიციელთა მხეცობა. პოლიციელმა ესროლა და მოჰკლა გონზალესი.

გონზალესის დაკრძალვა მძლავრდემონსტრაციად გადაიქცა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 25.000 კაცმა.

**სურათზე**—ამერიკელი პიონერები აცილებენ გონზალესის ცხედარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

– 38